ЗАО «Ремонтно-строительное управление № 2»

Приглашает на работу: плотников, бетонщиков, каменщиков, электросварщиков, монтажников технологических трубопроводов, электромонтажников, машинистов экскаваторов, водителей автомобилей, машинистов бульдозеров, машинистов автокранов, машинистов башенных кранов, машинистов передвижных компрессорных станций, машинистов трубоукладчиков, машинистов автогрейдеров, машинистов катков самоходных, машинистов автобетоносмесителей, машинистов растворонасосов, машинистов автобетононасосов, машинистов копровых установок, машинистов буровых установок, машинистов компрессорных установок, машинистов насосных установок, машинистов электростанций передвижных, машинистов котлов передвижных, машинистов установок для сварки полиэтиленовых труб, машинистов установок для гидравлических испытаний трубопроводов, машинистов установок для газовой сварки, машинистов установок для газовой резки, машинистов установок для электрической сварки, машинистов установок для электрической резки, машинистов установок для газопламенной обработки, машинистов установок для газопламенной резки, машинистов установок для газопламенной свар

ხალხის გულისთქმა

შოთა, ილია, ვაჟა... ასე უწოდებს ერი თავის ღვიძლ შვილებს — მხოლოდ სახელებით. ამაში ხალხის დიდი გულისთქმაა, სიყვარულია, მის სულში დამკვიდრებული სამუდამო სამყოფელია. მხოლოდ რჩეულთ აქვთ ასეთი იღბალი, მხოლოდ მას, ვისაც ერის სამსხვერპლოზე მოუტანია ისეთი მარგალიტი, რომელიც ხალხში გაბნეულა, თვით ხალხად ქცეულა, ქცეულა იმ სიტყვად და საქმედ ურომლისოდაც ერი ვერ იარსებებდა. ასეთია ზაქარია ფალიაშვილი... ილიას მსგავსად დღეს, როცა ახსენებენ ზაქარიას, ყველაფერი ნათელი ხდება, ჩვენს მეხსიერებაში, სულში, არსებაში შემოიჭრება საოცრად წარმტაცი, საოცრად მომხიბვლელი და რაც მთავარია სულით ხორცამდე ჩვენებური ჰანგები. ეს ფალიაშვილის მადლია და მადლიერი ხალხიც ამიტომ მას უბრალოდ ზაქარიას უწოდებს.

1871 წლის 3 აგვისტოს ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მწყემს, პეტრე ფალიაშვილს მესამე ვაჟი შეეძინა. ეს იყო ზაქარია. ღმერთი სამებითაო, მაგრამ ფალიაშვილები ამ თქმას არად დაგიდევდნენ და ზაქარია ნაბოლარა არ აღმოჩნდა, მას მოჰყვნენ დები და ძმები. სულ ჩვიდმეტნი იყვნენ.

ზაქარიამ პირველი სკოლის კარი ქუთაისში შეაღო, აქ გალობდა იგი კათოლიკეთა გუნდში, აქვე შესანიშნავი დისკანტით ასრულებდა ცალხმიან სიმღერებს ორღანის თანხლებით, აქვე დაიწყო სწავლა ფორტეპიანოზე გამოჩენილ მასწავლებელთან ფელიქს მიზანდართან.

1887 წელს ფალიაშვილების ოჯახი თბილისში გადმოვიდა. ზაქარია მიიღეს კათოლიკურ ეკლესიაში მგალობლად და ორღანისტის თანაშემწედ. 80-90-იან წლებში თბილისი ითვლებოდა ამიერკავკასიის კულტურის ცენტრად, სადაც თავმოყრილი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი: ოპერისა და დრამის თეატრები, სამუსიკო სასწავლებელი, — წერა-კითხვის გამავრცელებელი და სხვა პროგრესული საზოგადოებანი.

ბუნებით გამჭრიახი და მახვილი ახალგაზრდა მუსიკოსი აკვირდებოდა და აღიქვამდა ერთი მხრივ ეროვნული მუსიკალური კულტურის დამახასიათებელ თვისებებს,— სიმღერათა მელოდიკის თავისებურებას, უჩვეულო ჰარმონია — პოლიფონიურ საფუძვლებს, საუკუნეების მანძილზე გამოძერწილ ხალხურ მრავალხმიანობის ფორმებს, ხოლო მეორეს მხრივ ეცნობოდა და ითვისებდა კლასიკურ მუსიკას, ოპერას, სიმფონიას, კამერულ-ინსტრუმენტულ, ვოკალურ და საგუნდო ნაწარმოებებს.

1895 წელს ზაქარია ფალიაშვილი შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც სწავლობდა თეორიულსა და საკრავიერ კურსს. ოთხი წლის შემდეგ ზაქარიამ ეს სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, ჩამოაყალიბა მგალობელთა გუნდი და ერთ ხანს გამოდიოდა ამ გუნდთან ერთად როგორც ლოტბარი. გუნდმა საკმაოდ გაითქვა სახელი და საქართველოს ფარგლებს გარედანაც კი მოუვიდა საგასტროლო მოწვევა.

ამ გარემოებამ ძალა შემატა ზაქარიას და თავის ორ ძმასთან, ანტონთან და პოლიკარპესთან ერთად ჩამოაყალიბა „ოპერის მოყვარულთა დასი“, რომლის წარმატებამაც საბოლოოდ განაპირობა ზაქარიას მომავალი.

1900 წელს ზაქარიამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები მოსკოვის კონსერვატორიაში და მეცადინეობა დაიწყო ბრწყინვალე პოლიფონისტთან, გამოჩენილ რუს კომპოზიტორთან და პედაგოგთან ს. ი. ტანეევთან. აქვე, სტუდენტობისას გამოჩნდა მისი უზადო ნიჭი და დახვეწილი გემოვნება.

ნაყოფიერი იყო ზაქარიას სტუდენტური წლები. გარდა იმისა, რომ მას პედაგოგად ჰყავდა პოლიფონიისა და საერთოდ კომპოზიციის ბრწყინვალე ოსტატი, ზაქარიას პროფესიულ სრულყოფას ხელს უწყობდა დიდი ქალაქის მდიდარი სამუსიკო საგასტროლო ცხოვრება.

ფალიაშვილის უძვირფასესი მუსიკალური დანატოვარი განპირობებულია კიდევ ერთი საგულისხმო მოვლენით: ზაქარიამ ვიდრე ფუნდამენტურ სამუსიკო ტილოებს შექმნიდა, საქართველოს მრავალი კუთხე მოიარა და სამამამდე ხალხური სიმღერა ჩაიწერა.

და აი, საქართველოს საზოგადოებრიობამ ამ ვრცელი და ღრმა მომზადების შედეგად ზაქარიასაგან მიიღო ქართული სამუსიკო ხელოვნების კლასიკური ნაწარმოებები— ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.


ეროვნული კოლორიტით მუსიკალური ექსპრესიით, დრამატიზმით, პოლიფონიურობითა და მელოდიკის სიმდიდრით ამ ოპერებმა საქართველოს ხელოვნების ისტორიაში უპირველესი ადგილი დაიკვიდრეს.

ხალხური მთელი სასიმღერო საუნჯის გამოყენებით, უდიდესი შემოქმედის ნიჭით ნატიფად შექმნილი ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ქართველი ერის სულიერ სიმდიდრედ იქცა.

ხალხის სიმღერა კვლავ ხალხს დაუბრუნდა, დაუბრუნდა სულ სხვაგვარად მოპირკეთებული, მაგრამ კვლავ ეროვნული ხმოვანებით გაცისკროვნებული. იშვიათია ისეთი ოპერები სამუსიკო ხელოვნების ისტორიაში, რომელიც ასე მიეღოს ხალხს, ასე „გახალხურებულიყოს“. დღეს ფალიაშვილის მუსიკას ხალხი მღერის.

უკვე დამკვიდრდა: აბესალომისა და მალხაზის ყოველ ახალ შემსრულებელს ქართველი ხალხი გულდასმით ისმენს და აკვირდება, იმიტომ რომ ეს ორი გმირი ქართული სულის, ეროვნული თვისებების გამომხატველი განზოგადოებული სახეებია.

ზაქარია ფალიაშვილი ხალხის სიმღერად, ხალხის გულისთქმად იქცა.



ძველი ვერელისათვის აგურის ქუჩა რომ გვეთხრათ, გაკვირვებდა, გეტყოდათ, ასეთი ქუჩა, ჩემი თავი გენაცვალოს, ვერაზე არა ყოფილაო, არის აგურის შესახვევი, პატარა, ვიწრო და ბნელი. აქ აგურის გამოსწვავი მცირე საამქრო იდგა და ამ სახელის სათავეც მანდედან მოდის. თვით ქუჩა გრძელი არ იყო, უკვე ვთქვით, და ალბათ წინაპარს მისი ქუჩად წოდება მოერიდა და ამიტომაც შესახვევი შეარქვა. აგურის შესახვევი კიდევ დიდხანს ერქვა, თუმცა ზედ იმ ციდა ქარხნის ნასახიც აღარსად იყო.

ქუჩა ვიწრო ყელით იწყება და მერე ფართოვდება. დღესაც ასეა. ოღონდ ქვით მოკირწყლული აღარ არის, აღარც ძველი ჩაშავებული ბოძებია ჩამორიგებული, ერთიანად, ძველი ამქარივით გაქრა... ერთი სიტყვით, გამოიცვალა... ესეც იმის მადლია, იტყვის ძველი კაცი — შიო ძია, რომელიც ხშირად თავისივე სახლის წინ დაბალ სკამზე ზის, ჩაჩი ახურავს, ხავერდი აცვია და კრიალოსანს ათამაშებს. იმის მადლიაო და ხელს თეთრი სახლისაკენ გაიშვერს. იქ ჰანგების დიდი ოსტატი ცხოვრობდა. ახლა ამ სახლს ძველებური ლიფლიფები დაჰკიდეს, აი ისეთი, ეტლის კოფოს აქეთ-იქიდან რომ ამშვენებდა.

...წინათაც ენთო, — მაგრამ გაქრა, დრომ გადაიყოლა... მერედა, ამის გახახლება ვის რად უნდოდა. განა ცოტა რამ დაგვეკარგა, ცოტა რამ წავიდა ჩვენგან ისე, რომ ვეღარც ვიხსენებთ? ეს რაღად მოვიახლეთ... შიო ძიას თქმისა არ იყოს, აქ ჰანგების დიდი ოსტატი ცხოვრობდა და მადლიერ შთამომავლობას განუზრახავს აღედგინა ყველაფერი, რაც იმის დროს იყო. კაცი ნუ მოკვდება, ოღონდ დანარჩენს ყველაფერს ეშველება. ეგრეა, მაგრამ ზოგს სიკვდილიც ვერაფერს აკლებს.

ამა ის კაცი, ვისი სიცოცხლეც ქართული ჰანგი იყო და იმ ჰანგებს უკვდავება აჩუქა, მკვდარიაო, როგორა ვთქვათ! ერთხელ პოეტმა ინატრა, ნეტა ყველა ლექსი ერთბაშად დამაკარგვინა და მერე ერთად ჩემივე ხალხის გულში მაპოვნინაო. იმ პოეტის მსგავსად ამ ოსტატმაც თავისი ჰანგები თავისივე ხალხის გულში ისპოვნა. ხალხმა პირველად ამ ქუჩიდან, ამ სარკმლიდან მოისმინა „სულო ბიროტო“ და „შუქურ ვარსკვლავი“.

წარმომიდგენია, რა გაოცებული შედგებოდა ღამის მგზავრი, როცა ამ პატარა ქუჩაზე, ზემოდან, ღია სარკმლიდან, ისე როგორც ციდან, ჰარვალი ღვთაებრივი ჰანგი ჩაესმოდა. ახლაც ვხედავ იმის განცვიფრებას. რა არიხო, საიდან, როგორ? მერე აქედან დაირხა ხმა, რომელიც სხვა, უფრო დიდმა და ფართო ქუჩებმა აიტაცა, გამწირებმა გულში ჩაიკრეს და დღემდე „ჩემია-ჩემიას“ გაიძახიან. შურთ ამ ქუჩის ბედი, შურთ. ახლა მართლა დამშვენდა, მაგრამ ერთ დროს სხვა ქუჩაზე დარი იყო და ამ ქუჩაზე კი წვიმდა, წვიმდა გადაუღებლივ. იმ ბინიდან, საიდანაც ღვთაებრივმა ჰანგებმა უცნობი შეაჩერა, ერთი პატარა კუბო გამოიტანეს. მიხტიროდა მას, ცრემლად იღვრებოდა ჰანგის ოსტატი და მერე, როცა გვირგვინებიც გაქრა, ყვავილებმაც სუნთქვა შეწყვიტეს, დაჭკნენ, სარკმელიც დაიხურა, თითქოს ამოიქოლა და არაიდან ხმა და არსით ძახილი არ ისმოდა. აღარ ჩერდებოდა გვიანი მგზავრი, აღარ ისმოდა ჯადო-ხმა და სმენად არ იყო ქცეული ვიწრო და ბნელი ქუჩაბანდი. როდემდის, როდემდის? — ალბათ იძახდნენ დაობლებული ჰანგები და ოსტატს გულსა და სულს უმღვრევდნენ, სადღაც უხილავ სამყაროსკენ ეზიდებოდნენ. იმასაც ამბობენ, ის გვიანი მგზავრი შუაღამისას მთავარეპისკოპოსთან გამოწვდებოდა, ფანჯრის ქვეშ დაყეფდებოდა და ჰანგების მოლოდინში დილამდე ფეხს არ იცვლიდაო. ასე ამბობენ. თუმცა მე არა მჯერა, მაგრამ ჩემს ურწმუნობას პინუნშიაც არ აგდებენ და ისევ თავისას იმეორებენ, ასე იყოო. არ ვიცი და არავინ იცის რატომ, მაგრამ ერთ ღამეს ის სარკმელი მაინც გაიღო, გაიღო და პატარა ქუჩამ უჩვეულო ჰანგები კვლავ გულში ჩაიკრა: „ვეძებდი ბედსა, ვერ ვპოვე იგი, ბედმა ჩამაგდო ამ განსაცდელში“. აქა ვართო, რა განსაცდელშიო? — უნდოდათ ეყვირათ ქვემოდან, მაგრამ დროზე შეჩერდნენ. იმ ღვთაებრივ სამყაროში ოსტატი მარტოდმარტო იყო და ვისიმე ჩარევა მყუდროებას დაურღვევდა. დროზე მიხვდნენ და შეჩერდნენ, შეჩერდნენ და სმენად იქცნენ, ხეებმა შრიალი შეწყვიტეს, წვიმა შეწყდა, ჰაერი დადგა, ფრინველმა ხმა გაკმინდა. ფანჯრიდან კი დაუსრულებლად ისმოდა „თავო ჩემო, ბედი არ გიწერიაო“. ყველა საგონებელში ჩავარდა, უნდოდათ ეთქვათ, ეყვირათ „თავო შენო, ბედი როგორ არ გიწერია, აბა გადმოიხედე, ფანჯარას მოადექ, რამდენი ვინმე მოსულა, აუჰ, რამდენი, ვის არ ნახავ ამ პატარა ქუჩაზე, ტევა არ არის, ყველას უნდა იმ ფანჯარაში თითო ვარდი ისროლოს და ოსტატს პასუხად უმღეროს, თავო შენო, ბედი როგორ არ გიწერიაო“. ბედია, მაშ რა არის, საქართველო მოსულა, ბევრი უცხოც აქ არის! და ყველა, სულ ყველა, ეს უამრავი მადლიერი ხალხი ამ ერთ ციდა ქუჩას, წაბან რომ მხოლოდ შეხსვევს ეტყოდნენ, ერთიანად დაუტევა!..

ზურაბ რცხილაძე

ეს სახლი 1915 წლის 15 სექტემბერში
1933 წლის 6 იანვრამდე
ცხოვრობდა დიდი
ქართველი კომპოზიტორი
ზაქარია
ფალიაშვილი

ქართული მუსიკის აღმაგზნებარი

— ასე შეიძლება ვუწოდოთ ქართული მუსიკის ქომაგსა და ამაგდარს, მის პირველ მეცნიერულ მკვლევარს, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ლადო დონაძეს, რომელსაც სულ ახლახან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია მიენიჭა კაპიტალური ნაშრომისათვის „ზაქარია ფალიაშვილი“.

ჯერ კიდევ ქართული გიმნაზიის მოსწავლე ლადო დონაძე ბრწყინვალე ნიჭსა და მისწრაფებას ავლენდა მუსიკალური ხელოვნებისადმი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც მაშინ გიმნაზიის მოსწავლეთა გუნდს ხელმძღვანელობდა. ამ გუნდში ეზიარა მომავალი მუსიკოსი სავუნდო ხელოვნებას, ქართული სიმღერის შნოსა და ლაზათს, მის განუმეორებელ სურნელებას.

თბილისის ქართული გიმნაზია საუცხოო მუსიკალური კერაც იყო. აქ ასწავლიდნენ ცნობილი მუსიკოსები ანდრია ყარაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე, გამოჩენილი სახოგადო მოღვაწე და პედაგოგი პეტრე მირიანაშვილი. სწორედ ამ უკანასკნელმა მიაწოდა შემდგომ დიდ ზაქარიას „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო და დააინტერესა ოპერა დაეწერა. ბუნებრივია, ამგვარმა წრემ გარკვეული როლი შეასრულა ლადო დონაძის მომავლის ჩამოყალიბებაში.

1934 წელს იგი წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას და სწავლას განაგრძობს ლენინგრადის კონსერვატორიის ასპირანტურაში მუსიკის ისტორიის ხაზით, რომელსაც წარმატებითვე ამთავრებს გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ გრუბერის ხელმძღვანელობით.

ასპირანტურაში ლადო დონაძე უმთავრესად მუშაობდა დასავლეთ ევროპის მუსიკის პრობლემებზე. ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი შრომა შუბერტის სიმფონია სი-მინორი, რომელიც ძვირფასი შენაძენია მსოფლიო მუსიკისმცოდნეობისათვის და რომელიც კონსერვატორიის სახელმძღვანელოდ იქცა. მუსიკის ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი დიდი თავი გამოკვლევა შუბერტის სიმფონიურ შემოქმედებაზე, აგრეთვე ჩვენს თანამემამულეს ეკუთვნის.

1937 წელს ლადო დონაძე სამშობლოში ბრუნდება და თბილისის კონსერვატორიაში აარსებს მუსიკის ისტორიის კათედრას, რომელსაც დღემდე უდგას სათავეში. მისი ხელმძღვანელობითვე ჩამოყალიბდა საზღვარგარეთის ქვეყნების მუსიკის ისტორიის სპეციალური და ზოგადი კურსი, 1947 წელს კი ქართული მუსიკის ისტორიის მეთოდური კურსი, რომელიც იკითხება კონსერვატორიასა და მუსიკის სასწავლებელში.

ვრცელი და მრავალფეროვანია პროფესორის მხატვრული და შემოქმედებითი ინტერესები. თანამედროვეობის პრობლემებთან ერთად მან დიდი ყურადღება დაუთმო ქართული მუსიკის კლასიკური პერიოდის შესწავლას. ფართოდ არის ცნობილი მისი მონოგრაფიული ნაშრომები ზაქარია ფალიაშვილზე, მელიტონ ბალანჩივაძეზე, შალვა მშველიძეზე, ანდრია ბალანჩივაძეზე, მონოგრაფიული ნარკვევები დიმტრი არაყიშვილზე, ნიკო სულხანიშვილზე, ვიქტორ დოლიძეზე და სხვადასხვა წერილი...

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის შესახებ დაწერილი მონოგრაფია. ეს ფუნდამენტური ნაშრომი მარტო დიდი კომპოზიტორის შემოქმედების გულდასმითი და ზედმიწევნითი ანალიზი როდია. აქ დასმულია აგრეთვე ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემები. „ლადო დონაძის მონოგრაფიაში ნათლად არის გამოვლენილი ზაქარია ფალიაშვილის მუსიკალური ენის ხალხური საწყისები, მისი სიმფონიური აზროვნება. ნაშრომში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტორის დიდი უნარი, განიხილოს ნაწარმოები როგორც ცოცხალი მუსიკალური მთლიანობა; ანალიზის ასეთმა მეთოდმა მკვლევარს საშუალება მისცა მისულიყო მეტად საყურადღებო დასკვნამდე და გამოეაშკარავებინა ფალიაშვილის საოპერო დრამატურგიის პრინციპები“ — წერს პროფესორი გრიგოლ ჩხიკვაძე ამ ნაშრომზე.

აღსანიშნავია, რომ „ზაქარია ფალიაშვილი“ ლადო დონაძისათვის იყო საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის თემა. ეს მონოგრაფია უკვე ორჯერ გამოიცა მოსკოვში.

40-50-იან წლებში ლადო დონაძე სისტემატურად აქვეყნებს წერილებს, თანამშრომლობს ჟურნალ-გაზეთებში. მისი წერილები ნამდვილი მუსიკალური უნივერსიტეტი გახდა, ყოველი ნაშრომი ახალი სიტყვაა მუსიკალური მეცნიერების სფეროში. პროფესიონალს, სიტყვისა და კალმის ოსტატს აზრის ნათელი და ამომწურავი გაშუქება ახასიათებს, მის მეხედულებებს კი ხანგრძლივი კვლევისა და ძიროფესიონალად გააზრების ბეჭედი აზის.

ამჟამად მოსკოვში ხუთ ტომად გამოდის „საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკის ისტორია“. პირველ სამ ტომში ნარკვევები საბჭოთა მუსიკაზე პროფესორ ლადო დონაძეს ეკუთვნის. იგი არის აგრეთვე ამ გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი. სარედაქციო კოლეგიის წევრი და ერთერთი ავტორი გახლავთ აგრეთვე ლადო დონაძე კრებულისა „ქართული მუსიკალური კულტურა“ (რუსულ ენაზე).

უზომოდ დიდია ლადო დონაძის, როგორც პედაგოგის, ღვაწლი. ძნელია საქართველოში მოიძებნოს მუსიკისმცოდნე, მისი აღზრდილი რომ არ იყოს. დიდ ცოდნასთან ერთად იგი თავის მოწაფეებს შრომისმოყვარეობისა და საკუთარი მეცნიერული გზების ძიების მისწრაფებასაც უნერგავს. მისი აღზრდილები დღეს სათავეში უდგანან ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების საქმეს.

ჰუმანური იდეებით აღჭურვილი, დიდი ერუდიციის ღრმა მეცნიერი, ფრიად განათლებული მუსიკოსი, ღვაწლმოსილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ხელოვნებისმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლადო დონაძე მუდამ თანამედროვე ხელოვნების რთული პრობლემების კვლევასა და შესწავლაშია, მათი გამარჯვებების მოზიარეა.

ეთერ ლონდარიძე
მუსიკისმცოდნე.

პრეზიდენტის 80 წელი

ოთხმოცი წლისაა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი. ოცდაათი წლისაა მისი აკადემია. სწორედ რომ მისი, რადგან აკადემიის შექმნამიც და ზრდამიც მისი განუყრელი წელიწადია — უცვლელად ხელმძღვანელობს დაარსებიდან დღევანდლამდე.

მაინც ეს თავისთავად დიდი საქმე ნიკო მუსხელიშვილის მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილია, რადგან, უპირველეს ყოვლისა, იგი არის მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი და ოთხმოცი წელიწადი, რომელსაც ატარებს, გასაკვირველად სავსე და მომცველობითია სწორედ სამეცნიერო შრომებითა და გამოკვლევებით.

როცა მისთვის უკითხავთ, უთქვამს, ერთფეროვნად ვიცხოვრეო თითქმის. აღბათ იმას გულისხმობდა, ამ ოთხმოცი წლიდან მთელი შეგნებული სიცოცხლე რომ ერთნაირად თავდადებულ ძიებაში გალია. ნეტამც ამ ერთფეროვნებას, რომელიც სრულყოფილებისა და სისრულის თანაბარი გამხდარა!

ოთხმოცი წლიდან გახედვისას ბავშვობა რაგინდ დაპატარავებულად ჩანდეს, მთავარ ხაზებს მაინც გაარჩევს გონების თვალი და მეხსიერებაში აღადგენს დაუვიწყარ დღეებსა და სახეებს.

ხსოვნა იწყება თბილისით. თბილისი არის მისი სამშობლო ქალაქი.

თბილისის მეორე კლასიკური გიმნაზია — ყრმის გონების პირველი სამყარო.

მამა — ივანე მუსხელიშვილი, სამხედრო ინჟინერი და არტილერიის ოფიცერი, მათემატიკის შესანიშნავი მცოდნე, ბავშვებს რომ მოთმინებით უნერგავდა ამ საგნის სიყვარულს.

დედა — დარია საგინაშვილი, თავისი დროის დიდად განათლებული ქართველი ქალი, რომელიც შვილებს თვითონ ასწავლიდა ფრანგულსა და დედაენას — ქართულს.

შემდეგ: დედის სოფელ მაწვანაში (ამჟამად თეთრი წყაროს რაიონშია მოქცეული); პაპის — ალექსანდრე საგინაშვილის სახლი, სადაც ბავშვობის დღეების უმეტესობა დარჩა. ეს სახლი უსიძნდა დიდობაშიც და ზაფხულობით უთუოდ ესტუმრებოდა სოლმე.

ბოლოს: პეტერბურგი.

თერთმეტი წლის ჭაბუკი უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება.

ხუთ წელიწადში წარმატებით ამთავრებს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს და მექანიკის კათედრაზე რჩება პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

მაშინ ამ კათედრას ხელმძღვანელობდა ცნობილი რუსი მეცნიერი დ. ბობოლევი. აქვე მუშაობდა გ. კოლოსოვიც, დრეკადობის მათემატიკური თეორიის გამოჩენილი სპეციალისტი. მისი ცნობილი წიგნი, სადაც მოცემულია ფორმულები, რომლებითაც ეგრეთ წოდებული ბრტყელი ამოცანის სასაზღვრო პრობლემები მიიყვანება ანალიზურ, ფუნქციათა თეორიის ამოცანებამდე, გამოვიდა იმ წელიწადს, როდესაც გიმნაზიის ახლად კურსდამთავრებული ჭაბუკი პეტერბურგს ესტუმრა. კოლოსოვის შრომა ახალ, თითქმის შეუსწავლელ დარგს ეძღვნებოდა, რომელმაც იმთავითვე გაიტაცა სტუდენტი და მან მასწავლებლის ამ ნაშრომის უშუალო შთაბეჭდილებით დაიწყო პირველი კვლევა. მასწავლებელიც დიდად აფასებდა მოსწავლის ნიჭს, იმდენად, რომ 1915 წელს, როდესაც ნიკო მუსხელიშვილმა უნივერსიტეტი დაამთავრა, გამოქვეყნდა პროფესორისა და ნაბრძანდტარის ერთობლივი ნაშრომი „წრიული დრეკადი ფირფიტების წონასწორობის შესახებ“.

აქედან იწყება ნიკო მუსხელიშვილის დამოუკიდებელი სამეცნიერო გზა.

სამაისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარებიდან ერთი წლის შემდეგ, 1919 წელს, ფრანგულ ენაზე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში ქვეყნდება მისი პირველი დიდი ნაშრომი: „ბიჰარმონიული განტოლების ინტეგრირების შესახებ“, ამას მოჰყვა ცალკე წიგნი მათემატიკური ფიზიკის დარგში („კოშის ტიპის ინტეგრალების გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ზოგიერთ ამოცანებში“), რომელიც თბილისის უნივერსიტეტმა ფრანგულ ენაზე გამოსცა. ეს დიდად მნიშვნელოვანი გამოკვლევა იყო — მეცნიერმა მიიღო არაერთი ეგრეთ წოდებული სასაზღვრო ამოცანის ეფექტური ამოხსნა, რაც ამ თეორიაში ფრიად არსებითს წარმოადგენდა.

ერთხანს ნიკო მუსხელიშვილი პეტროგრადში მოღვაწეობდა, უნივერსიტეტსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, კითხულობდა უმაღლეს მათემატიკასა და მექანიკას. 1920 წლიდან კი ახლად შექმნილ თბილისის უნივერსიტეტშია. იმ დროს აქ მოღვაწეობდნენ ანდრია რაზმაძე, არჩილ ხარაძე და გიორგი ნიკოლაძე. თუ უნივერსიტეტი იმთავითვე ქართული ეროვნული კულტურის თავდადებული მოამაგე გახდა, ეს მის მეცნიერთა პირველი თაობის წვლილია.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ნიკო მუსხელიშვილიც ჩაება ეროვნულ საზრუნავში. მალე არჩილ ხარაძესთან და გიორგი ნიკოლაძესთან მისი თანაავტორობით 1925 წელს გამოდის „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონი“. იმ დღეებს ვერც ერთი ვერ დაივიწყებს, თავს იყრიდნენ სოლოლაკში, ნიკო ნიკოლაძის ბინაზე. იყო მსჯელობა, კამათი და მადლიანი ხუმრობაც.

დრო გადის, კვლევა გრძელდება, ახალ-ახალი არე იშლება მეცნიერის წინაშე, ფართოვდება თვალსაწიერი, მოხრილი ხდება ურიცი ინტეგრალური განტოლებები, რომლებიც გამოიყენება დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების კვლევისას. ამ გზით მიღებული შედეგები გამოირჩევა დიდი ზოგადობით, რის გამოც მეტის მომცველი ხდება პრაქტიკაში. უნდა ითქვას, რომ ამ შედეგებს პრაქტიკისაკენ გზა გაუკვალა თვითონ ნიკო მუსხელიშვილმა, რომელმაც თავისი მეთოდის დახმარებით შეისწავლა ბევრი საინტერესო კონკრეტული ამოცანა. ამასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიეძღვნა შრომები, მათ შორის „ბიჰარმონიული პრობლემის ამოხსნის შესახებ ელიფსის გარე არისათვის“.

არც იმ რამდენიმე თვის დაგვიანება შეიძლება, როდესაც თბილისიდან ლენინგრადში მიიწვიეს და მეცნიერთა ფართო წრე გატაცებით უსმენდა მის ლექციებს დრეკადობის თეორიის საკითხებზე. რისიცადაც წელიწადი გასულა, მაგრამ წარუშლელად დარჩენილა ის სიხარული, ის რწმენა, რომელმაც იმ დღეთა სახსოვრად და იმ ლექციების ციკლის კვალდაკვალ ორიოდე წელიწადში დააწერინა მსოფლიოში სახელგანთქმული შრომა: „დრეკადობის მათემატიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი ამოცანა“. 1933 წლიდან მოყოლებული, იგი ხუთჯერ გამოიცა და სახელმწიფო პრემიაც დაიმსახურა. ამერიკელმა გამომცემლობამ ნიუ-დიმში იგი ინგლისურად სრული ოცი წლის დაგვიანებით გამოსცა, მაგრამ, როგორც მისი ერთ-ერთი უცხოელი რეცენზენტი წერდა, ამ ოც წელიწადში ინგლისურ ენაზე ისეთი არაფერი დაბეჭდილა, რაც გაქანებით მას შეედრებოდესო. ეს წიგნი მომდევნო წლებში ითარგმნა, დაისტამბა სხვა ენებზეც და მას თითქმის ყველა უნივერსიტეტში ასწავლიან. ამ წიგნის დიდ მნიშვნელობაზე ლაპარაკია 1958 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ამერიკელი მათემატიკოსების ნაშრომშიც. ჯ. გუდიერი და ფ. ჰოჯი, როდესაც დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორიის უკანასკნელ მიღწევებს მიმოიხილავენ, დიდად აფასებენ ქართველ მეცნიერთა ღვაწლს. მეოცე საუკუნეში, — ნათქვამია ამ წიგნში, — დრეკადობის მთავარ მონაპოვრებს შეიცავენ მუსხელიშვილისა და მისი მრავალრიცხოვანი მოწაფის შრომებიო.

მართლაც რომ ნიკო მუსხელიშვილის უშუალო ხელმძღვანელობითა და მისი სამეცნიერო იდეების გავლენით საქართველოში აღიზარდა მეცნიერთა დიდი ჯგუფი, შეიქმნა თბილისის მათემატიკური სკოლა. 30-იანი წლების ბოლოს ნიკო მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით თავდაპირველად ჩამოყალიბდა სპეცსემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერი მუშაკები და ასპირანტები. აქ მიიღეს არაერთი ახალი და მნიშვნელოვანი შედეგი, რაც მოგვიანებით საფუძვლად დაედო ცნობილ შრომას „სინგულარულ-ინტეგრალური განტოლებანი“. ამ წიგნისათვის ავტორს მეორედ მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

ხსენებული მონოგრაფიების გარდა, ნიკო მუსხელიშვილი ავტორია აგრეთვე ანალიზური გეომეტრიის სახელმძღვანელოსი, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ქართულად, აგრეთვე რუსულად და ჩინურადაც. მანვე დაწერა თეორიული მექანიკის უმაღლესი კურსი. მშვენიერი წიგნი, როგორც მას ასახელებენ. ამ საქმის შესრულება შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად ჰქონდა დიდი პედაგოგიური ალღო და გამოცდილება. მისი ავტორი, მართლაც, საკმაოდ ხანგრძლივად კითხულობდა ლექციებს სპეციალურ ფაკულტეტებზე და წლების განმავლობაში მონაწილეობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხოვრებაში, იყო მისი დოცენტი, პროფესორი, პრორექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი...

საერთოდ მის ცხოვრებაში ძალზე ჭარბად არის ისეთი თარიღი, რომელთაგან თითოეული საკმარისია ერთი კაცის დამსახურებისათვის.

1939 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, მოგვიანებით — პრეზიდიუმის წევრად, ვიდრე დღევანდლამდე.

1940 წლიდან ჯერ სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრია, შემდეგ კი — ლენინური პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტისა.

1941 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის ღირსება.

1937 წლიდან მოყოლებული, არის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის დეპუტატი.

სახელმწიფო პრემიები მიეკუთვნა ორჯერ — 1941 და 1947 წელს.

1949 წელს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეა პრაღაში...

დაჯილდოებულია ლენინის ხუთი ორდენითა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

...არის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი მისი დაარსების დღიდან, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების საქცნიერო მოღვაწეობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პოლონეთისა და ბულგარეთის აკადემიების უცხოელი წევრი, მთელ რიგ საერთაშორისო მეცნიერული გაერთიანებების წევრი, საერთაშორისო კონგრესებისა და კონფერენციების მონაწილე...

ყველას საგანგებო ჩერილში ვერ ჩამოთვლი, რომ ჩამოთვლი, მაინც გულასკვნილი დარჩები, რომ მიიღიდ ჩამოთვალე და სხვა ვერაფერი თქვი, რაც საკმარისი იყო. და აჰა, ოთხმოცი წლისა ჩვენი პრეზიდენტი.

ოთხმოცი წელიწადი, ჩვეულებრივი ცხოვრებით გავლილიც კი, დიდად ტევადია. სად დარჩა, თითქმის ერთნაირად დაძაბული, ერთნაირად გაუმცდარი, ერთნაირად დატვირთული წლები შეგნებული სიცოცხლისა, როცა თითოეულ დღეს იმდენ რაღაცას არომევ, რამდენიც აერთმევა, თუმცა ღალასაც გააჩნია: რამდენადაც საყოველთაოდ სასიკეთოა, იმდენად დიდი ფასი ადევს, იმდენად მოგებული გამოდის კაცი დროსთან ჭიდილში.

ერთფეროვნად ვიცხოვრეო, უთქვამს. მაგრამ თუ ეს ერთი ფერი სხვათა უმჯობესია მაშინ დასაწუნი არ უნდა იყოს ასეთი ერთფეროვნება. ხოლო უმჯობესი უეჭველად არის, რადგან იგი უმაღლესი მეცნიერების სამსახურია. ვიტყოდით, რომ ეს არის ერთნაირად დიდი გატაცებით სულდგმულობა, ერთნაირად თავდადებული ძიება და აღმოჩენა იმ კანონებისა, რომლებიც ყოვლისშემძლე ბუნებას თავისებური სიბრძნითა და გაანგარიშებით შეუქმნია და, რომელთა ადამიანურ ენაზე გადმოღება და ჩვენი გონებისმიერი ნიშნებით გადმოცემა თანაბრად მოითხოვს დიდ ნიჭსაც და დიდ ამტანობასაც.

დროსთან და მეცნიერებასთან რკინა კვლავაც გრძელდება, განუწყვეტელი, დიდებული რკინა, რომელსაც მსოფლიოში ბევრი გულშემატკივარი ადევნებს თვალს.

ეთერ სახვაძე



გამრავლდნენ მუხათელები...

ბიჭუაშვილები, მუხათელები არიან. მათი მამა-პაპანი გლეხები ყოფილან; მიწა უყვართ და ალალი შრომით მონაგარ ლუკმას ჭამდნენ. ახუაშვილებსაც ისევე, როგორც მათებრ მშრომელ ადამიანებს, ომი და სისხლისღვრა ეჯავრებოდათ. პურის საჭმელად რომ დახხდებოდნენ, დაილოცებოდნენ ხოლმე: კარგობა იყოს ქვეყანაზეო. მაგრამ მაშინ ახუაშვილებსა და მათებრ ადამიანებს ის ძალა არ ჰქონდათ, სურვილისათვის ხორცი შეესხათ. როცა დაიწყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, მეფის მთავრობამ დარჩეულ მუხათელ ვაჟკაცებს ხელი მოხვია და გერმანიის ფრონტზე უკრა თავი. მათ შორის იყვნენ 21 წლის ბიძაშვილები ვარდო და გიორგი ახუაშვილები.

გავიდა წლები. გიორგი დაბრუნდა. ვარდოს კი აღარ ეღირსა მუხათის მიწა. შემოჯარონენ გიორგის ახუაშვილები, ბიძაშვილის ბედი აინტერესებდათ.

— 1914 წელს ავსტრიის ფრონტზე ვიყავით. იმ დაწყევლილ დღეს ჩვენი ნაწილი ისვენებდა. თუმცა ბრძოლის ხაზთან ძალიან ახლოს ვიყავით. მერე ჩვენც მივიღეთ დავალება. ცხენებშებმული საბრძოლო საჭურველი უნდა გადაგვეტანა. მე და ვარდო ერთად ვიყავით, ერთიმეორეს ვამაგრებდით და იმედს ვაძლევდით. მერე ისეთ სროლაში მოვყევით, სტყუვასავით წამოვიდა ტყვია. მე დავიჭერი და გრძნობადაკარგული გამომიყვანეს თურმე. იმ დღიდან ვარდოსი ვეღარაფერი გავიგეო, — უთხრა ახლობლებს გიორგი ახუაშვილმა.

მუხათელებს რაღა დარჩენოდათ, გამოიგლოვეს დაკარგული ვაჟკაცი. შინაურები მწარედ ტიროდნენ. 21 წლისა იყო, ცხოვრებაში ვერაფერს მოესწრო და ვერ გაიხარა. ერთი შვილი მაინც დარჩენოდა, რომ უძიროდ არ წაშლილიყო ამ ქვეყნიდანო.

ახუაშვილებმა ისევ ხვნა-თესვას მიჰყვეს ხელი. ახალი ცხოვრებაც წამოწყეს. ახლა მშვიდობაზე, შვილების სწავლასა და გამრავლებაზე ფიქრობდნენ.

და კარგა მოგვიანებით, უკვე რომ აღარავინ ელოდა, 1940 წელს მუხათში მოვიდა ვარდო ახუაშვილის წერილი და სურათი. სურათიდან ულვაშებდაწკეპილი ვარდო იყურებოდა. გვერდით საქორწილო კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი ედგა.

— გერმანიის ფრონტზე ტყვედ ჩავვარდი, ჯერ ავსტრიაში ვიყავი, ახლა ბუდაპეშტში ვცხოვრობ. აქაური ქალი შევირთე — მარია. მყავს ერთი ქალი და ორი ვაჟი. ვწუხვარ, რომ არაფერი ვიცი გიორგისა და თქვენი, ჩემი ახლობელ-ნათესავებისაო — იწერებოდა ვარდო.

გაიხარა მუხათმა. დაკარგული შვილი გამოუჩნდათ. მაგრამ ამასობაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ვარდო ახუაშვილი თავისი ცოლ-შვილით კვლავ მოსწუდა სამშობლოს.

ამის შემდეგ ოცდაათი წელიწადი გავიდა და შარშან ისევ მოვიდა წერილი უცნაურად: — მამა სამშობლოზე დარდობდა დღენიადაგ და ისე გარდაიცვალა, მისი ნახვა აღარ ეღირსა. შვილებს ანდერძად დაგვიტოვა — გვეყვარდეს ჩვენი მიწა, არ დავკარგოო ახლობელ-ნათესავები. ჩვენ გვინდა შევასრულოთ მისი უკანასკნელი თხოვნაო, იწერებოდა ვარდოს ვაჟი ანდრო.

ახუაშვილები ზედიზედ გზავნიდნენ ბარათებს უნგრეთში. იქიდანაც მოდიოდა საპასუხო წერილები.

— ვარდოს მეუღლე მარია ცოცხალია. მას ძალიან უხარია, რომ შვილებმა იპოვეს თავიანთი მამული. ვარდოს ხომ ძალზე უყვარდა საქართველო და მის ხსენებაში დალია სული. ბევრი ტანჯვა-წვალება გადაუტანია ამ კაცს. თავდაპირველად გაუჭირდა უცხოეთში. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დააპატიმრეს როგორც „რუსი“. მაგრამ ქართველი კაცი თავისთავზე არას დარდობდა, ვაჟების — ანდროსა და გაბრიელის ბედი აწუხებდა, რომლებიც იარაღით ებრძოდნენ მტერს. — ასეთი შინაარსისაა საქართველოში მოსული წერილები.

ამ ერთი თვის წინათ კი მამას ანდერძის ერთგული ანდრო სამშობლოში ჩამოვიდა. მას ლომინა ახუაშვილი სოჭში დახვდა. უხარკუყოდ იცნეს ბიძაშვილებმა ერთიმეორე. ჩაეხვივნენ და ასე მხარგადახვეული ამოიყვანა ლომინამ სამოცი წლის წინათ დაკარგული ვარდოს ძე მშობლიურ მუხათში.

კარი ფართოდ გააღეს ახუაშვილებმა. ჩვენი სიხარული ქვეყანამ შეიტყოსო. ანდრომ და მისმა მეუღლემ ეკატერინემ კი ჯერ წინაპართა საფლავებზე წასვლა მოისურვეს. ორივეს ცრემლი სდიოდა თვალთაგან. მუხათის მიწა სათუთად შეინახეს, მამის საფლავზე მოვაპენევთო.

სამშობლო საქართველო ძალიან მოეწონათ ვარდოს ვაჟსა და რძალს. ახლა გვესმის მისი ურვა და წუხილი, ძნელია ასეთ ქვეყანას თუნდაც ცოტა ხნით მოშორდეო, — თქვა ანდრომ და ნაღველი იგრძნობოდა მის ხმაში. შვებულება უთავდებოდა და მალე უნდა გამგზავრებულიყო ბუდაპეშტში.

ღანაღვლიანებულნი გაემგზავრნენ ანდრო და ეკატერინე. გულს იმითღა იოხებდნენ ახუაშვილები, რომ რაკი ერთიმეორე ვიპოვეთ, ერთიმეორე ვიცანით, ახლა რაღა დაგვშორებს და როგორღა დავიკარგებითო. ვარდო ახუაშვილი უძეოდ არ გადაგებულა, გამრავლებულან მუხათელი ახუაშვილები და კიდევაც გავმრავლდებით, ოღონდაც კარგობა, მშვიდობა იყოს ქვეყანაზეო.

ლაშა გარეჯელი

სურათზე: ანდრო ახუაშვილი.

ფანჯარაში მტრედია...

„ახლა ვიგრძენ, რომ სიმღერით მკვდარი ვარ!“

ეგი ნაშუადღევს მოიყვანეს — ღონემიხდილი, ფერმკრთალი, აკანკალებული მოხუცი. თავზე ძველი ქალაქური კარტუზიანი ქუდი ეხურა. წელზე ვერცხლის მსხვილი ქამარი ერტყა რაღაცნაირი ჯინჯილებით, ჯაყვა დანითა და თუნუქის კათხით. სასწრაფოდ გაუმზადეს ლოგინი, საცვალი, მაგრამ ვერა და ვერ მოახსნევინეს ის ვერცხლის მოგონება, ქამრად რომ ერტყა ერთ დროს ამოსხმულ წელზე. ბოლოს, როგორც იქნა, ჩააწვინეს ლოგინში საავადმყოფოს პერანგზე ყარაჩოღული ქამრით გაწყობილი. სიცივისაგან კანკალებდა, უთრთოდა ფერმკრთალი სახე და ისე იწვა ცხრაკაციან პალატაში. დაახურეს და დაახურეს საბნები. ძალიან ბებერი ძვლები ჰქონდა მოხუცს და ვერა და ვერ გათბა. ბოლოს, ცოტათი სული რომ მოითქვა, მოიხედა. ეს იყო ძველი თბილისელის გამოხედვა და ძალიან სევდიანად გამოიყურებოდა ცხრა რკინის საწოლის გარემოცვაში.

— ეგ ვილაა?... რატომ ეგრე იყურება, ჰა?..

— ეგ, ძიაკაცო, პროფესორია. უნდა გვიმკურნალოს.

— მაგან რა უნდა მიმკურნალოს!... ეგ თუ პრაფესორია, რათ აღარ იცის, რო სიცივითა ვკვდები... ე, ცოდო არა ვარ!... რათ მახმობს შამაიასავით! რათ უნდა მიმკურნალოს, რათა!...

— ძიაკაცო, შენი ჭირიჴე!... დამშვიდდი, ახლავე გაგათბობთ, ახლავე... აბა, ეგ საბანი მომაწოდეთ!

და მოულოდნელად, ჯადოსნური მოგონებებისა და განცდების მჭრქალი გადასაფარებელი გადაეფარა ყველაფერს.

I.

რას იზამ, ძნელი ყოფილა თურმე სიბერე, თანაც სიბერე მარტოობაში, როცა შენს მკერდში მარტოდმარტო მფეთქავი გულიღა გახსენებს ძველ ტკივილსაც და სიყვარულსაც. რაზე ფიქრობ ახლა, ძიაკაცო? ყველაფერზე? ბიჭებზე? მტრედივით გოგოებზე, შენი გიჟმაჟური ლტოლვით რომ შეაფრთხიალებდი და შეაფრენდი ხოლმე? იქნებ...

— იქნებ ამ პრაფესორს შაეხვეწოთ, შვილებო, მალე არ გამიშვან აქედანა... აღარავინა მყავს. განა ეგეთი ვიყავი, თქვენ რომ მიყურებთ... ე — ეჰ, რაღაც მინდოდა მეთქვა — და... ნეტა რა მინდოდა მეთქვა?...

ამოძრავდებოდა ლოგინში, ბებრულ ძვლებს მცირე ხნით ისევ მოუბრუნებდა მიმქრალ სითბოს, გაძვალტყავებულ ხელებს მიუსვ-მოუსვამდა ვერცხლის მოსაგონარს და ვერცკი გრძნობდა, რომ ვერცხლი თავისი სიგრილით ისევ უკან სტაცებდა წამით რის ვაი-ვაგლახით მონაპოვარს, თვალებს დაახამხამებდა და ისევ სადღაც წავიდოდა.

— ე — ე... რა მინდოდა, მეთქვა, კაცო?... მართლა ეგეთი კი არ ვიყავი... ისეთი მეარღნე ვიყავი, რო... თბილისში ჩემისთანა ცხენები არავისა ჰყვანდა. არც ჩემისთანა ფაიტონი — და... — ე, თქვენ აბა რა იცით. რა გინახავთ. აი, ეგრე რომ დავუვლიდი ხოლმე უბნებსა. სულ გუგუნებდა, მიწა, მაშა!... რა ცხენები მყვანდა... თქვენ რა იცით, აბა, შვილებო!.. ხაშის საჭმელად თბილისიდან თელავში ჩავდიოდით ხოლმე, მა-აშ!.. სუყველა ფაიტონებს ვუსწრებდი, მა-აშ!.. ოთხ საათში იქ ვიყავი ხოლმე! ეჰ. რა ხაში იყო, კაცო, თითი რო ჩაგეწო, სულ ჩურჩხელასავით ამოიღებდი... ეჰ, რა ცხენები მყვანდა. თქვენ რა გინახიათ... — ისეთი ქალიცა მყავდა, რო... და პირი იბრუნა კედლისაკენ. — ეჰ, შვილებო! მერე აღარც ქალი, აღარც ფაიტონი. ცხენებიც წავიდნენ სამუდამოდ.. მარტო დავრჩი. და... მე და ჩემი არღანი, რაღა!.. გამიძნელდა ცხოვრება, დავბერდი, ეგეთი კი არ ვიყავი, თქვენ რო მიყურებთ... მა-აშ!.. ე ?! რა მინდოდა მეთქვა, კაცო! — და საბნის ქვეშიდან ყრუდ მოისმა ვერცხლის ქამრის შეთამაშების ხმა. თან ჩუმად თავისთვის რაღაც ჩაიჩიფჩიფა, ისე რომ მის გარდა ვერავინ გაიგებდა. მერე ხელებზე წამოიწია და ცრემლით სავსე თვალებით კვლავ დაუბრუნდა გარემოს.

— ცოდო არა ვარ!.. რათ უნდა გამახმოთ, შამაია ხო არა ვარ! პრაფესორს უთხარით რა, არ გამიშვას აქედანა. სად უნდა წავიდე. თითივითა ვარ, მარტოდ-მარტო... ი არღანიც მამპარეს და სუყველაფერიცა... იგეთი ხმა ჰქონდა, რო სულ გაგაგიჟებდა, მა-აშ!.. მაინც გამოვიცნობ. ქუთაისში რო დაუკრან, თბილისში გავიგონებ... მა რა უნდა ჰქნან? მუზეუმში ხო არ უნდა შაინახონ! სადმე ხო უნდა დაუკრან!... ე-ე... რა ხაში იყო... რა ფაიტონი... რა ბიჭები... — მერე ისევ და ისევ, თითივითა ვარო. მარტოხელაო. შეეხვეწა ექიმებს, ახლა ზამთარია, ძალიან ბებერი ვარ, სიცივით მოვკვდები, ბოლოს და ბოლოს, ხო არ უნდა მამკლათო. სანამ არ დათბება, არსად გამიშოთ, ვერც არღანს ვიპოვი და ვერც ვერაფერსაო, იხვეწებოდა მთრთოლვარე ხმით.

— ძიაკაცო, იეთიმ გურჯს შეხვედრიხარ?

— ჰო... მაგრამა, ვეღარ კი ვიხსენებ — და... აი, რაღაცა მინდოდა მყვანდა. მეთქვა — და... ერთი პატარა ბიჭი ჰყვანდა... მე კაი ფაიტონი, ცხენები, ქალიცა მყვანდა, მა-აშ!.. კაცო, სიცივით ხო არ უნდა მამკლათ... პრაფესორიაო... განა ეგეთი ვიყავი რო... გამიჭირდა და იმიტომ დავჯექი ფაიტონზე... გამიჭირდა და იმიტომ... იეთიმ გურჯს იცნობდიო?! ვიცნობდი, მა არ ვიცნობდი!... განა ეგეთი ვიყავი რო... განა ეგეთი... — და ნელი-ნელ გადაეშვა იმ ზმანებათა ოკეანის ზვირთებში, რომელთა შხეფებიც ჩვენგან ძალიან შორსღა ეცემა უკვე.

„ფანჯა-ა-რა-ში მტრე ედი-ი-ა...

ნეტა-ა ვისი-ი ბე-ედი-ი-ა“.

II.

ასე შემოვიდა ჩემს სინამდვილეში ძველი თბილისელი ყარაჩოღელი, უკანასკნელი ნაღდი მეეტლე და პატარა, გამხდარი, აკანკალებული მოხუცი, რომელსაც ერთი დარდი არ ასვენებდა ზამთრის სიცივეში, რომ როგორმე გაზაფხულის სითბომდე გაეძლო. თავისი სიყვარულისა და გაჭირვების, სიჭაბუკისა და მოხუცებულობის ერთადერთი მეტყველი თანამოძმე არღანი ეპოვნა, დაეტრიალებინა მოგონებათა ღერძი და აეყოლერებინა თავისი შორეული, ალბათ ლამაზი სიცოცხლის დადუმებული ფერები.

ასე შემოვიდა ჩვენს ურთიერთობაში მოხუცი მეეტლე, რომელიც ქართული ესტრადიდან დაემშვიდობა ძველ თბილისს და ხელახლა იშვა სევდიან, მაგრამ საოცრად ღრმა სიმღერად იმ სიცოცხლისა, რითაც დუღდა ძველი თბილისი და რამაც ამ ზაფხულს ასე აუშრიალა ახალგაზრდა თბილისელთა გრძნობანი. შემოვიდა ჩვენს მუსიკალურ სინამდვილეში გიორგი ცაბაძის საოცარი სიმღერა უკანასკნელ „მეფაიტონეზე“ და თან მოგვიტანა ჯადოსნური სიტყვებისა და ჰანგების მეტად ახლობელი ინტონაცია, დიდებული მხატვრული სახე, სულის სწრაფვანი და გულის ტკივილი ერთდროულად ოთხი ადამიანისა — ძველი მოხუცი ყარაჩოღელისა, პოეტ მორის ფოცხიშვილისა, სულტკბილი გიორგი ცაბაძისა და ბუბა კიკაბიძისა, რომელთა ნაღდმა ხელოვნებამ, როგორც სიცოცხლის, კაცობისა და სიყვარულის ხელოვნებამ, ასეთი მძლავრი ემოციური ზეგავლენა იქონია ათასობით მსმენელზე. და ნურავინ იფიქრებს, რომ ასეთ სიმღერებს მხოლოდ აუურული განცდებით თუ ქმნიან ასეთი ადამიანებიც და ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ნორმალური კაცი ეთხოვება ხოლმე თავის საყვარელ „ფაიტონს“.

საკვირველი მუსიკის გაკვეთილი ჩამიტარეს მაშინ! გიორგი ცაბაძეს არ უამბნია ჩემთვის თავისი ცხოვრების საინტერესო პერიოდებზე, იგი მხოლოდ თავისი სიმღერებით ყვებოდა ყველაზე წმინდა თავგადასავლებს. მას არ უამბნია არც კომპოზიტორის ინტიმურ განცდებზე და არც იმ სიმღერათა რაოდენობაზე, რომელიც კი შეუქმნია თავისი ცხოვრების მანძილზე. იგი ამ ტონალობით შემოვიდა ჩემს ურთიერთობაში, რომელსაც ახსნა და განმარტება არ სჭირდება. **სიცოცხლის მუსიკალური ტონალობა!** „ტატოსავით ლექსს ვწერ, არა მწყინდება, შენზე ფიქრი არასდროს მომწყინდება“...

ყღერდა გოგიას ხმა და ჟრიალებდნენ მორისის სიტყვები —

„ქუჩა-ქუჩა ალუბლებს, ქარი თეთრად პენტავს...
მეგობარო ამ გულს თუ ვერ გაუგებ,
ვის გაუგებ, ნეტავ!...



კომპოზიტორი
გიორგი ცაბაძე
ავტორის ფოტო

თვალდახუჭული მღეროდა კომპოზიტორი. მღეროდა თავდავიწყებით და თავის განუზრელ მეგობართან, წითელ როიალთან ერთად ნელ-ნელა შედიოდა იმ დიდებულ აუურში, კაცს რომ გააგიუებს და წამით ყველაფერს დაავიწყებინებს.

„ვაი ვეღარ ვხედავ მზეს
როცა შენ ვერ გხედავ,
დღეს რომ ჩემი გაგიჟების დღე დადგეს,
რით მიწამლებ ნეტავ...“

და ყველა ის გმირი, რომელიც კი აყღერებულა გოგიას ძველ თუ ახალ სიმღერებში, თითქოს ავტორთან ერთად შემოდიოდნენ ამ მისამღერში და გუგუნებდნენ სიცოცხლისა და სიყვარულის, მეგობრობისა და სილამაზით ტრფობის აკორდებად, როცა მრავალი ათეული წლის მანძილზე გაბნეულან შორეულ სულიერ სივრცეებში და ჩვენს თვალწინ კი ცოცხლდებოდნენ ნიაზ დიასამიძისა და მორის ფოცხიშვილის საოცარი სტრიქონებით, ბუბა კიკაბიძისა და ნანი ბრეგვაძის ზღაპრული მუსიკალური ცხოვრებით. თვითონ ავტორისა და მისი მამის, ოდესღაც დიდებული „ფაიტონების“ ქარხნის მფლობელის წყალობით, — როცა მთელი თბილისი, მთელი საქართველო მღერის ცაბაძის სიმღერებს, გულამომჯდარი ეწაფება მის ყოველ ახალ სიმღერას — როგორც მწყურვალი წყაროს წყალს — და ხელახალი, სულ ახალი სიმღერით გრძნობამორეული ახალ-ახალი ტრფობით ილამაზებს თავისი სიცოცხლის ყოველ ახალ წამს.

ასეთნაირად ვისხედით გიორგი ცაბაძის ოჯახში — მე, თვითონ კომპოზიტორი, მისი მეუღლე, პოეტი მორის ფოცხიშვილი, ჟურნალისტი თენგიზ უთმელიძე, კომპოზიტორის დედა და მისი ორი ვაჟკაცი, და მუსიკალური ატომებით დამუხტულები ნელ-ნელა ვიხსენებდით იმას, რაც თითქოს მივიწყებული იყო; ძალიან დიდი სიშორიდან ვუბრუნდებით ჩვენს შეგრძნებებს იმ საოცარ წვრილმანებს, რომელთა შესახებაც არც ერთ მსმენელს სულ მცირე წარმოდგენაც კი არა ჰქონდა. ყოველ მსმენელს ხომ მხოლოდ თვითონ სიმღერა აინტერესებს და მეტი არაფერი.

— როგორ გაიკეთებით, ძია სიმონ?

— ეჰ, იმე არა მიჭირს რა, მაგრამ... ვაი რომ ვეღარ ვხედავ მზეს!“

აი ასეთნაირად შემოვიდა ეს ფრაზა ჩვენს სინამდვილეში და არავინ კი არ იცოდა, რომ ეს ბრწყინვალე სიმონ ჩიქოვანის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების ერთერთი უკანასკნელი აკორდი იყო. ეს იყო პასუხი მორის ფოცხიშვილის მოკითხვაზე, და ძალიან რიგით მსმენელს, შეიძლება, სულაც არ აინტერესებს მისი ისტორია. „ზღაპარ იყო, ზღა-პარ იყო...“ ოჰ! მე მუდამ მეხსომება ყველა ის ზღაპრული მელოდია, გიორგი ცაბაძემ რომ შექმნა და ამით მრავალი საოცარი ურთიერთობით საოცრად ნაღვლიანი და ლამაზი ეპიზოდებით გაამდიდრა კიდეც ყველა თავდავიწყებული ახალგაზრდის სიცოცხლე. „ბარ მიყვარდა ერთი გოგო...“ ის პატარა გოგო დიდი

სიყვარულით იწვოდა. იწვოდა სანთელივით, ჩაიფერფლა და წავიდა... და დარჩა სევდიანი ბალადა. ასევე ჩაიფერფლა, ალბათ, ამ თხუთმეტი წლის წინათ იმ მოხუცი მეფაიტონის სანთელიც, რომელიც ჩვენთვის სულ ახალი სიმღერით დღეს აინთო, ცხრაკაციანი პალატიდან შემთხვევით იქ მყოფ მორის ფოცხიშვილის დღევანდელი სევდიანი გახსენებით, ვერცხლის ქამრითა და შეღებილი ბებერი ძვლებით აღსდგა და დაგვიბრუნდა „ორეულის“ ბრწყინვალე ახალგაზრდა სოლისტის გულში ჩაწვდომი სიმღერით.

„ფან-ჯა-ა-რა-ში-ი მტრე-ე დი-ი-ა...

ნეტა- ვი-სი-ი ბედ-ი-ა...

III.

ძველი ყარაჩოღელი ალბათ უკვე ცოცხალი აღარ არის. ყოველ შემთხვევაში, მის შესახებ უკვე არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. იპოვნა თუ არა ის ბედკრული არღანი, როდის გაწერეს სავადმყოფოდან, გაიხსენა თუ არა ის რაღაც, რომელსაც ასე იხსენებდა და ვერაფრით კი ვერ გაიხსენა, ნამდვილად არაფერი ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ყველას სადღაც ჰენებ-ჰენებით მიგვაკროლებს წუთისოფლის ეტლი და იხლა დაგვრჩენია, სინანულით გამოვთქვათ ამ დაკარგული ძველი თბილისური ცოცხალი სიმბოლოს მიმართ. მაგრამ, როცა ჩვენმა ნელ-ნელა მიდიან ძველი თბილისელები, როცა გულის ტკივილით ვიხსენებთ დაკარგულ მელოდიებს და ვალერიებით მიყუჩებულ ტკივილებს, მეტის სიყვარულით ვხედებით კომპოზიტორის დიდ სპეტაკ შუბლსა და ნათელ სახეს, საოცრად მოძრავ ტუჩებს, რომლებიც, ალბათ, თვით ახალი, თუნდაც ყველაზე სევდიანი სიმღერის შექმნის დროსაც კი ყველაზე პირველად განიცდიან ხოლმე მოსალოდნელი შინაგანი გამარჯვების სიხარულს და შენც მოწმე ხარ, მისი ნათელი სახეც კიდევ უფრო როგორ შუქდება იმ თვალების შუქით, რომელთაც უშრეტი სულიერი ძალა ასაზრდოებს და ასაზრდოებს, თვალები, რომელთაც უყვართ სიცოცხლითა და სილამაზით ტკბობა. მათ უხარიათ მშვენიერების შეგრძნება, შეიგრძნობენ და მერე წამით, მოულოდნელად, დაიხუჭებიან, როგორც კი თითები პირველ აკორდს აიდებენ წითელი როიალის თეთრ და შავ კლავიშებზე. ჩვენ საოცრად გვიყვარს მის მიერ აღებული ყოველი ნოტი და თვითონ მის მიერვე ნამღერი ყოველი სიმღერა. ჩვენ ვიცნობთ მრავალ პოპულარულ ქართველ კომპოზიტორს და დიდ პატივსაც ვცემთ მათ. ყველას თავთავისი სასიმღერო მოხდენილობა განასხვავებს. ერთნი ასე წერენ სიმღერებს, სხვები — ისე. ხალხი იტაცებს მათ და ეთაყვანება. უკრავენ ორკესტრები და მღერიან სუფრაზე. ზოგი თავს იწონებს შექმნილი ნაწარმოებებით და გვაიძულებს საავდრო ღრუბელივით პირქუში მუსიკალური ფრაზაც კი ზოგჯერ ნათელ და წარმტაც ცისარტყელად ვირწმუნოთ... გიორგი ცაბაძე არ ითხოვს ამგვარ „ძალადობას“. იგი თვითონ მღერის თავის სიმღერებს და თან უსმენს. იგი უსმენს საკუთარ სიმღერას. მღერის და უსმენს, და გგონია, რომ ამ ჰადონსურ წუთებში მას თითქოს ავიწყდება კიდეც, რომ რასაც იგი უსმენს, თვითონ მისი არსებიდან მოედინება, საამო თრთოლვით იტაცებს საკუთარსავე მელოდიას, ისრუტავს მას და საოცარი სევდიანი ხმით, სახითა და თვალებით გამოხატავს თავის ურთიერთობას ყველაფრისადმი, რასთანაც შეიძლება ურთიერთობის დამყარება. როგორ უყვარს ხალხს იგი ამ დროს!

„როგორ მშურს მე ამ დროს მისი, ამ უმაღლესი, იშვიათი სიხარულისა, — შემოჰქედებით გაიცებოდა საკუთარ თავს რომ ვერა გრძნობს, განთავისუფლებულია მუშაობის ყოველგვარი ჩამოყალიბებისაგან და აღწევს წმინდა აღტაცებას შექმნილი სიმღერის წინაშე; როგორ მშურს მე მისი უაღრესი ოსტატობისა, რომელიც არ გძაბავს და თავს არ გატკენს, მაგრამ საოცრად ღაღია და ტკბება თვითონვე! მაგრამ, როგორ უნდა გშურდეს იმ კაცისა, რომელსაც თვითონ არასოდეს შური არ უგრძვნია და ყოველთვის ხელგაშლილი და ხალისიანი არის ყველას მიმართ, ვინც კი იცის სიცოცხლის ფასი!?.

მაგრამ სიცოცხლეს რომ ფასი არ გააჩნია!

მე არ შემიძლია მუსიკის ახსნა ისევე, როგორც სიცოცხლის ფორმულის დადგენა. ვიცი მხოლოდ ის, რომ ერთშიც და მეორეშიც უნდა იყოს რაღაც სიწმინდე, ერთგვარი ლაღი სიწარმტაცე და კაცური კეთილშობილება.

„ფან-ჯა-არა-ში-ი მტრე-ე-დი-ი-ა
ნეტა-ა ვი-სი ბედ-ი-ა“.

იგი ნაშუადღევს მოიყვანეს — ღონემიხდილი, ფერმკრთალი, აკანკალებული მოხუცი. თავზე ძველი ქალაქური კარტუზიანი ქუდი ეხურა. წელზე ვერცხლის მსხვილი ქამარი ერტყა რაღაცნაირი ჯინჯილებით, ჯაყვა დანითა და თუნუქის კათხით. მოხუცს ოდესღაც კარგი ქალი ჰყავდა, მაგრამ სადღაც წავიდა — და... მოხუცს ეტლი ჰქონდა, საუკეთესო ბედაურებიც... ისეთი ბიჭი იყო, რომა... „ეჰ!... თქვენ რა იცით, ბიჭებო. ხაშის საჭმელად თელავში მივდიოდით ხოლმე, მა-აშ!... ე, რაღაც მინდოდა მეთქვა, კაცო — ო!“ მოხუცი სიცივისაგან კანკალებდა, უთრთოდა ფერმკრთალი სახე და ისე იწვა ცხრაკაციან პალატაში. დაახურეს და დაახურეს საბნები. ძალიან ბებერი ძვლები ჰქონდა მოხუცს და ვერა და ვერ გათბა... იქ ოურმე ჩვენი ნაცნობი პოეტიც ყოფილა შემთხვევით, და მისი პატარა თავგადასავალი თხუთმეტი წლის შემდეგ დღეს გვიამბო. გვიამბო და თვალწინ დაგვიყენა მოხუცი მეფაიტონე, ძველი თბილისელი ყარაჩოღელი, თავისი ბიჭობის დროს ძველ უბანში თვითონ ჩვენს გიორგი ცაბაძეს რომ შეხვედროდა, აუცილებლად მივიდოდა, მარცხენა ხელით ვერცხლის ქამარს შეახწორებდა, აწყვეტილ წელს კიდევ უფრო აიწყვეტდა, მარჯვენა ხელს ულვაშებზე გადაისვ-გადმოისვამდა, თვალებს აათამაშებდა, და ღიმილით ეტყოდა:

— ზემოთ აიხედე, ფანჯარაში, მტრედია, გოგიჯან!...

ვასილ მჭედლიშვილი.



„სამშობლო“ 1971

ქალი ვერცხლის ქამრით

რომ ქალაქი იძინებს



ემთვარეულის სონატა

სული შენი სუროდ შემომეკონა,
მკლავებია თუ სინათლის ტოტები,
სიძულვილით მოვკვდებოდი, მეგონა,
თურმე შენი სიყვარულით მოვკვდები.

ისევ გაშლის კურკანტელა კოკრებს,
და ირმები იბღავლებენ ბარიბარ,
ამას წინათ მე მეგონა მომკლეს,
ახლა ვიგრძენ, რომ ისევ ცოცხალი ვარ!

და ვკითხულობ ჩიტებს, როგორც ნოტებს,
მავთულებზე რწმენის ხემით გავდივარ,
მე მეგონა, რომ ბრმა ტყვიით მომკლეს,
ახლა ვიგრძენ, რომ სიმღერით მკვდარი ვარ!

მთვარე შენი სუროდ შემომეკონა,
მკლავებია თუ სინათლის ტოტები, —
სიხარულით მოვკვდებოდი, მეგონა,
ახლა ვიგრძენ, სინანულით მოვკვდები.

მორის ფოცხიშვილი

„სამშობლოს“ ინტერვიუ



პოეტი — პატრიოტი

მუხრან მაჭავარიანის ომახიან, ეროვნულ პოეზიას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. იგი ორმოცდაათიან წლებში მოვიდა და იმთავითვე გამოირჩეოდა ლექსის მხატვრული ფორმის ნოვატორობით. პირველივე ლექსებით, პირველივე კრებულით მიაგნო მკითხველთა გულს და გახდა პოპულარული პოეტი.

მუხრანი თორმეტი კრებულის ავტორია. ახალგაზრდობის მეშვიდე მსოფლიო ფესტივალზე მისმა წიგნმა „დუმილი უშენოდ“ ვერცხლის მედალი და პრემია დაიმსახურა. საბჭოთა მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანია. რედაქტორობს პატარების ჟურნალს „დილას“, რომელიც საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო საყმაწვილო ჟურნალად ითვლება.

მუხრან მაჭავარიანი ჩვეული ნიჭიერებით თარგმნის აგრეთვე უცხოეთის პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს. ახლახან თარგმნა და შეადგინა თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია.

მკითხველს ვთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ჯემალ ქურხულის საუბარს პოეტთან.

● ბატონო მუხრან, რა დაგახსომდათ ბავშვობიდან?

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ყოფნას,
მირჩევნია აქ სიკვდილი“.

● ვის თვლით თქვენს გამზრდელად?

ვისაც ეკუთვნის სტრიქონი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!“

● როგორი იყო საკუთარი ლექსის პირველი ხილვა?

არ მახსოვს.

● გთხოვთ წაგვიკითხოთ მხოლოდ ერთი ლექსი.

სიამოვნებით.

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები იდგნენ...
არაფრის გამო ვით გავიხარე —
თუ არ გინახავს, ვერ წარმოიდგენ.
მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან...
ჭიდან წყალს იღებს ვიღაცა ქალი...
— რა ლამაზია ჩვენი ქვეყანა!

● კმაყოფილი ხართ თქვენი შემოქმედებით?

პოეტი არ შეიძლება კმაყოფილი იყოს.

● როგორ იბადება თქვენი ლექსი?

„ისე უბრალოდ, როგორც
მუხნარზე
გაზაფხულისთვის მოდის ბალახი“.

● როგორი ლექსი უნდა ჩავთვალოთ პოეზიად?

რომელიც ეროვნულია ყოველმხრივ.

● თქვენ დაინახეთ — ბაღში თამაშობენ ბავშვები, სეირნობენ შეყვარებული წყვილები, სკამზე მჯდომი ახალგაზრდა კითხულობს მუხრან მაჭავარიანის ლექსებს — რა გაიფიქრეთ?

„აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
მოვლენ ბავშვები ჩვენი წიგნებით;
იქნება, ბევრი რამე იქნება,
მაგრამ ქვეყნად ჩვენ აღარ
ვიქნებით“.

● რა თვალით შეხედავდა „დილას“ პატარა მუხრანი და რა აზრისა არის ამ ჟურნალზე რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი?

პატარა მუხრანს დღევანდელი „დილა“ დარწმუნებული ვარ, მოეწონებოდა.

რაც მე მეხება, — მოგახსენებთ: ჟურნალ „დილას“ კიდევ უფრო მეტი სიკარგე მართებს, ვინაიდან „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაიჩნდების, — საშვილიშვილოდ გარდაიცემის!“ — მით უმეტეს, ბავშვის სულს.

● რას ეტყოდით დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველობას?

არ დავივიწყოთ დედაენა! არ დავიწყოთ 23 საუკუნის წინათ შექმნილი ბრწყინვალე ქართული ანბანი!

სამშობლოს“ ინტერვიუ

ოქტომბერი

ირინე შემთხვევა

რამდენიმე თვის წინათ აკადემიკოს გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიულ განყოფილებაში მოიყვანეს 11 წლის ბიჭუნა, რომელიც ჰემოფილიით არის დაავადებული. ჰემოფილია სისხლის მძიმე დაავადებაა, გამოწვეული სისხლის შემდედებელი სისტემის ზოგიერთი ფაქტორის ხარვეზის შეღებად და უწინარეს ტრავმის დროსაც იძლევა შეუჩერებელ, ზოგჯერ სასიკვდილო სისხლდენას.

ბავშვს ადრეული ასაკიდან თითქმის ყოველდღე აწუხებდა სასის ნუშურებიდან სისხლის დენა, რის გამო მის სიცოცხლეს ხშირად საფრთხე ემუქრებოდა. და აი მშობლებმა გადაწყვიტეს მისთვის ოპერაცია გაეკეთებინათ.

ინსტიტუტში ოპერაციისათვის ბავშვი წინასწარ მოამზადეს, რაც სისტემატური აქტიური ჰემოთერაპიით ხდებოდა. ეს კი მოითხოვდა ბავშვისათვის დიდი რაოდენობით სისხლისა და პლაზმის გადასხმას. ექიმებს ამაში ხელი შეუწყეს უანგარო დონორებმა. ოპერაცია გაკეთა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა თამაზ თოფურიამ, მას კონსულტაციას უწევდნენ ღვაწლმოსილი პროფესორები კიკნაძე და სიმონ ხეჩინაშვილი.

ოპერაცია ბავშვმა ჩინებულად გადაიტანა და კარგად გრძნობს თავს.

აღსანიშნავია, რომ კავშირის მასშტაბით ასეთი ოპერაციის მხოლოდ სამი შემთხვევაა აღწერილი.

ამრიგად, ინსტიტუტში შემუშავებული სქემის მიხედვით ჰემოფილიის დროს დასაშვებია სხვადასხვა ქირურგიული ჩარევა, თუ ავადმყოფი წინასწარ სათანადოდ მომზადდება.

ახალ სეზონში — ახალი ღვაწლით

როგორც ყოველთვის, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში სეზონი ახლაც ტრადიციულად ოპერეტით — „სიმღერა თბილისზე“ დაიწყო.

წლეულს თეატრს რამდენიმე ახალი დადგმა შეაქვს რეპერტუარში. მათ შორის არის ლელა იამელისა და ვახტანგ ჯუგოლავების „ირმები“, პოლ პორტერის „მაკოცე, ლამაზო“ (ქართული ტექსტი ეკუთვნის დავით გაჩეჩილაძეს) და სხვა.

თეატრს დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს ქართველ კომპოზიტორებთან, დრამატურგებთან. მალე კომპოზიტორები გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა, ლილი იაშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ნოდარ შამისაშვილი ახალ ნაწარმოებებს მიაწვდიან თეატრს.

თეატრში სიახლეა — დასი შეივსო ახალგაზრდა შემსრულებლებით, მუსიკალური, თეატრალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებით.

„ვზივარ საქარველის ხელვნებაა“

22 სექტემბერს დაიწყო და 26-მდე გასტანა ფესტივალმა „მზიური საქართველოს ხელოვნება“, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ და მცირე საკონცერტო დარბაზებში გაიმართა. თავიანთი ხელოვნება გვიჩვენეს საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა, საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა, ვოკალურ-საკრავიერმა ანსამბლმა „ორერამ“, ხალხური საკრავების ორკესტრმა და ვოკალურმა ანსამბლმა „გორდელამ“.

საქართველოს ხელოვნების ფესტივალმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.



ძეგს უბრძოლიათ დისთვის...

„გმირი გოგონა“ — ასეთი სათაურით გაზეთმა „კომუნისტმა“ ორიოდე თვის წინათ გამოაქვეყნა წერილი ვარშავის 1944 წლის აჯანყების მონაწილე ქალიშვილის ირინე სხირტლაძის გმირობის შესახებ.

ირინე სხირტლაძის დედა პოლონელი ყოფილა. იგი ცოლად გაჰყოლია ქართველს, ალბათ სამხედრო პირს, რომელიც სამამულო ომში დაღუპულა. თვითონ ირინე ახლა განისვენებს იმ მებრძოლთა გვერდით, რომლებმაც უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ვარშავის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მადლიერი პოლონელი ხალხი სიყვარულით იგონებს ამ გმირებს და დიდებით მოსავს მათს სახელებს. მღელვარებით აკითხება პოლონური წარწერა საფლავის ქვაზე: „ირინე სხირტლაძე, ირკა, მსროლელი, 16 წლისა. დაჯილდოებულია მამაცობის ჯვრით. დაღუპა 14. IX, 1944“...

ირინე სხირტლაძესთან ერთად ბევრი ქართველი მონაწილეობდა ვარშავის განთავისუფლებაში. ქართველები პოლონელებთან ერთად ებრძოდნენ საერთო მტერს — გერმანელებს, ებრძოდნენ შემართებით და სახელოვნად, ისე რომ მოძმე პოლონეთში ახლაც დიდ პატივსა სცემენ ჩვენს თანამემამულეებს.

იმ დღისით, როდესაც გმირულად დაიღუპა ირინე სხირტლაძე, მდინარე ვისლის მეორე ნაპირს პოლონეთის არმია მოადგა. ამ არმიაში თავდადებით იბრძოდნენ გოგი მერაბიშვილი და შოთა ღაღანიძე, მიშა სიმეონიანი და სიმონ მამისთვალოვი. ამის შესახებ. თუ როგორ მოხვდნენ ქართველები პოლონეთის ეროვნულ არმიაში და რა როლი შეასრულეს მათ ვარშავის გათავისუფლებაში, გვესაუბრა ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვახტანგ ლიპარტიანი.

1943 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში მყოფმა პოლონელმა კომუნისტებმა და პროგრესულმა მოქალაქეებმა შექმნეს „პოლონელ პატრიოტთა კავშირი“, რომელმაც ჩვენს მთავრობას მომართა თხოვნით — დახმარებოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის გამიზნული პოლონური სამხედრო ნაწილების ჩამოყალიბებაში საბჭოთა ტერიტორიაზე. ეს თხოვნა დაკმაყოფილდა.

პირველმა პოლონურმა ქვეითმა დივიზიამ, რომელსაც ეროვნული გმირის კოსტიუშკოს სახელი ეწოდა, 1943 წლის 12-14 ოქტომბერს საბრძოლო ნათლობა მიიღო ბელორუსიაში, სოფელ ლენინოსთან. ამის შემდეგ ათობით პატრიოტმა მოისურვა პოლონეთის შეიარაღებული ძალების რიგებში ყოფნა და შეიქმნა შენაერთის არმიის დონემდე გაზრდის საფუძველი.

საარტილერიო, სატანკო და სხვა ტექნიკური სამხედრო ნაწილების შექმნა მრავალ სიძნელესთან დაკავშირებული. პოლონელებს აკლდა ზოგიერთი სპეციალისტი. დასახმარებლად ჭოთა არმიის მებრძოლები მიავნეს. მათ შორის იყვნენ ზემოთ სახელებული ქართველებიც — არტილერიო-საინსტრუმენტო ზვერვო სკოლის კურსდამთავრებულნი.

დავალება სერიოზული ქართველებს მცირე დროში მოემზადებინათ პოლონური ზიონის შემადგენლობა. პოლონელ მეგობრებისათვის უნდა ესწავლებინათ იმ სპეციალური ბგერისმიერ ხელსაწყოების ხმარება, რომელიც მეშვეობითაც ხდებოდა მტრის ტილერიის გამოვლინება, არტილერიის კორექტირება მტრის საბოლო წერტების გასანადგურებლად. ქართველებმა დავალებას პირნათლად გაართვეს თავი და შენაერთისათვის უკვე საბრძოლო რაციებში მონაწილეობდა.

სექტემბრის შუა რიცხვებში, ვისლის ერთი ბატარეა, რომელშიც ქართველები იბრძოდნენ, შავის აღმოსავლეთ ნაწილში გა. მოვიდა ცნობა, რომ ვარშავაჯანყება, რომელიც არსებულ ძლებლობათა გაუთვალისწინებლონდონის ემიგრანტული პოლური მთავრობის ინიციატივით ეწყო, მარცხდებოდა. ასეთი დასრული ლოგიკური იყო, რადაჯანყებულები სტიქიურად მოდებდნენ, საბჭოთა და პოლონარმიის ხელმღვანელებთან თანხმებლად. ემიგრანტული მთრობის მიერ შექმნილმა ჯგუფმოუწოდეს იარაღით შებრძოლდნენ ვარშავაში განლაგებულ შისტურ გარნიზონს. ბრძოლა ნასწორო იყო. გერმანელთა მოდიდი შეიარაღება, ავიაცია, არტლერია, ტანკები თანმიმდევრულანადგურებდნენ ჯანყებულებს. მათგან მდინარე ვისლა გვაშორდა. ვარშავის სამხრეთით პოლური ჯარის ერთმა ნაწილმა დალახა კიდეც მდინარე, მაგრფეხი ვერ მოიკიდა და დიდი ზრალით დატოვა პლაცდარმი, ჰაერიდან დახმარებაც სცადეს, ჩაგთვითმფრინავები ქალაქში მყოფ უყრიდნენ იარაღს, პროდუქტებს, ქიტურად მოქმედებდა არტილერიაც: სპობდა ფაშისტთა საცეცხლე წერტებს, მეზენიტეები ხელს ულიდნენ გერმანელთა თვითმფრინავებს აჯანყებულთა უბნების დაბომბვაში. 18 სექტემბერს ვარშავის ცაზე 80-ზე მეტი ამერიკული და ინგლისური თვითმფრინავი გამოჩნდა. მათ აჯანყებულებს პარაშუტებით ჩაუყარეს პროდუქტებსა და იარაღის კონტეინერებს. სამწუხაროდ, ყველაფერი გერმანელების განლაგებაში მოხვდა.

63 დღის უთანასწორო ტრაგიკულმა ბრძოლამ ასიათასობით ადამიანი შეიწირა. ივლისის ბოლოს დივიზიონი, სადაც ქართველები მსახურობდნენ, შემდგომი საბრძოლო მოქმედებისათვის ვარშავის სამხრეთით, ვისლის სანაპიროზე, დაბა რადომსკში განლაგდა. სოფლის განაპირას, ეკლესიის თავზე ქართველებმა საარტილერიო ბრიგადის სათვალთვალო პუნქტი მოაწყეს. გერმანელებმა შეამჩნიეს პუნქტი და მსხვილი კალიბრის ქვემეხის ჭურვით ეკლესია დაანგრიეს. 8-10 წუთში ქართველებს მშად ჰქონდათ ვასროლის ადგილის ზუსტი კოორდინატები. საპასუხო ჭურვები ზუსტად დაატყდა იმ ადგილს, სადაც გერმანელების მძიმე საარტილერიო დანადგარი იდგა. ეს უკვე 1945 წლის ახალი წლის ღამეს მოხდა. ჩვენების საახალწლო საჩუქარმა, რომელიც ასეთი გულმოდგინებით მომამზადეს ქართველებმა, მიწასთან გაასწორა გერმანელთა batარეა. ამ ოპერაციისათვის ქართველებმა ჯილდოები დაიმსახურეს. მათ შორის გოგი მერაბიშვილმა ბრინჯაოსი, ხოლო ვახტანგ ლიპარტიანმა და შოთა ღაღანიძემ — ვერცხლის მედლები.

ქართველმა ვაჟკაცებმა პოლონეთის არმიის რიგებში 500 დღე დაჰყვეს, ღირსეულად მოიხადეს მამულიშვილური ვალი და უცნობი დის ირინე სხირტლაძის სისხლი ასწილად მიუზღეს მტერს.

სურათზე: ვახტანგ ლიპარტიანი — პოლონეთის არმიის მებრძოლი.

●

(რედაქციისაგან — ვახტანგ ლ. პარტიანი ამჟამად მუშაობს წიგნზე, რომელიც ასახავს პოლონეთის განთავისუფლების ბრძოლის ეპიზოდებს).

ნოველა

ხმა

გივი ჯოხაძე



ბედნიერ ადამიანად ვგრძნობდი თავს, როცა ზაფხულის შაბათ საღამოს, ჩვეულებრივ, ნიდერის ბინაზე შევიკრიბეთ. შეთანხმებული ვიყავით, გვიან გაშლილ სუფრას მივუსხდებოდით, რომელიმე ჩვენგანს უნდა მოეთხრო ამბავი თავისი ცხოვრებიდან. ხუთნი ვიყავით. აქედან სამს უკვე გაეყო ცოლქმრულ უღელში თავი, ორს — მე და გაიოზს კი ჯერ ვიწრო ოჯახური სიამტკბილობის არაფერი გაეგებოდა. იმ სამსაც იმხანად თავიანთი ცოლ-შვილი თბილისის სიცხისათვის გაერიდებინა და ახლა ჩვენთან ატარებდა დროს.

— ჰოდა ასე, — დაიწყო გაიოზმა, — მარტოხელა კაცის ამბავი მოგეხსენებათ, — მინ გუთან მიდის და სამსახურში თუ საქმეც ბლომად აქვს, დილით ადრე მოსწორება. ჩემი საქმეც ასეა. დილით ვერავინ მიმასწრებს სამსახურში, ამის გამო ზოგი დამცინის კიდეც, ზოგი იმასაც ამბობს, უფროსებთან თავს იწონებსო, მაგრამ ასე სულაც არ არის. ეს კი არადა, ერთორჯერ კიდეც გვიდევ. დამეგვიანა სამსახურში, მაგრამ ვერა და ვერ შევძელი. მე რომ დავგვიანებული მეგონა, სხვაზე ადრე მაინც შევალე კარი. ამ ჩემს უჩვეულოდ დაგვიანებას ჩვენი დამლაგებელი ხარანა დეიდა ისე შეეშფოთებინა, რომ ოთახში ვეღარ მოეთმინა და ქუჩაში გამოსულიყო ჩემს შესახვედრად, ხომ არაფერი გაუჭირდაო.

იმ ჩემთვის ღირსახსოვარ დღესაც. როგორც ყოველთვის პირველი მივედი სამსახურში, გადავათვალიერე დილის გაზეთები, და ის იყო, მაგიდის უჯრა გამოვწიე, რომ საქმეს შევდგომოდი, ტელეფონი აწკრიალდა.

ჩვენს ოთახში ათი მაგიდა დგას, ტელეფონი კი ერთია და ისიც უფროსის მაგიდაზე. მაგიდებს შორის ვიწრო გასასვლელია და შეუბრუნებელ-შემოუბრუნებლად იქამდე მიწვდება არ შეიძლება. ამიტომაც იყო, რომ დამეზარა და ტელეფონის წკრიალს არ გამოვეპასუხე. ტელეფონი ერთი სამჯერ კი ახმიანდა და მერე მიწუმდა. თავი ჩავრგე საქმეებში, ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ტელეფონის კვლავ შემასმენა თავი.

თქვენც არ მომიკვდეთ, წამოდგომა არც კი მიფიქრია. თავში ქვა გიხლია, რეკე რამდენიც გინდა-მეთქი, მაგრამ ალბათ ის, ვინც რეკავდა, ჩემზე ჯიუტი იყო, თავგზა ამებნა, ციფრებს ერთად ვეღარ მოვუყარე თავი და საქმეს თავი დავანებე. ტელეფონი განაგრძობდა რეკვას.

სხვა გზა აღარ მქონდა, უნდა გამეცა იმ უჯიათისათვის ხმა, თორემ, ეტყობოდა, მოსვენებას აღარ მომცემდა, ყურმილს ისე დავწვდი, რომ ხმა არ ამომიღია.

— ალო, ნაირა! რა ძილისგუდა ხარ, რა არის, ამდენს ვრეკავ და მაინც ვერ გაგაღვიძე, გოგო! — მომესმა ყურმილში ქალის ხმა.

მეგობრებო, რა დაგიმალოთ და იმ ხმამ ერთბაშად მომწუხსა, ასეთი ხმა არც მე და, მაპატიეთ, თქვენც არ გეწვებათ გაგონილი, ხმა იყო ისეთი, რომელიც ყველაფერს აშკარად დაგავიწყებთ და სადღაც ღრუბლებში დაგაწყებინებთ ბორიალს. გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. მე კი ხმას არ ვიღებდი. მსურდა იმ ხმის პატრონს კვლავ ბევრი ელაპარაკა, რომ ეს სიხარული არ მომკლებოდა.

— ნაირა, ალო! არ გესმის, გოგო! რას გაჩუმებულხარ, ამოიღე ხმა!

კიდევ დიდხანს ვიყავი გაჩუმებული, მაგრამ როცა შევატყე, იმასაც აღარ ეყოფოდა ძალა ამდენი ალო, ალოს ძახილისათვის, გამოვეპასუხე.

— ქალიშვილო, თქვენ იქ არ მოხვდით, სადაც რეკავთ!

— უი, ჩემი სიკვდილი, სხვაგან მოვხვდი? მაპატიეთ!

— არა, რას ბრძანებთ, თვითონ თქვენ მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს ხმა არ გაგეცით. ხდება ხოლმე, ხომ იცით ჩვენი ტელეფონების ამბავი.

— ჰო, მე ამ ნომერზე ვრეკავ, — და მან დამისახელა რაღაც ციფრები.

— არა, გენაცვალე, ეს ტელეფონი... — და მეც არ ვიცი, რატომღაც ჩვენი ტელეფონის ნომერი ვუთხარი. ახლაც არ ვიცი მან რატომ მკითხა როგორ, როგორი და კვლავ გაეიმეორე ის ციფრები, რითაც ჩვენს განყოფილებაში რეკავენ.

— ბოდიში, აღარ შეგაწუხებთ, — მითხრა მან და ალბათ ის-ის იყო ყურმილის დადებას აპირებდა, რომ მე მოვასწარი.

— რას ბრძანებთ, პირიქით, დიდი მადლობა, რომ ასეთი კარგი ხმა გამაგონეთ.

— ვითომ?

— გეფიცებით.

— კარგი, გვეყოფა, ალბათ გაცდენთ, კარგად იყავით, — ვეღარაფრის თქმა ვერ მოვასწარი, ისე დადო ყურმილი.

ის დღე ისე მიიღია, რომ საათის რბილა არც კი შემიმჩნევია.

მთელი დამე იმ ხმის პატრონზე ოცნებაში გავატარე. ხან ტელეფონით ველაპარაკებოდი, ხან გხვდებოდი, ხან ვეფერებოდი. ერთი სიტყვით, რას არ წარმოიდგენს უცოლო, მარტოხელა კაცი.

მეორე დილით კვლავ, როგორც ყოველთვის, პირველი გამოვცხადდი სამსახურში. მგონი, ჩვეულებრივზეც ადრე. საქმე ყელამდე მქონდა, მაგრამ ვერა და ვერ მოვკიდე ხელი. სულ ერთთავად ტელეფონს შევჩერებოდი, მაგრამ ის შეჩვენებული დუმდა. ჩვენი ოთახი ისე აივსო ხალხით, რომ მე ფრჩხილისოდენა საქმის გაკეთებაც ვერ მოვასწარი.

გული დამწყდა. თუმცა სისულელეა, მაგრამ ისევ ტელეფონის ზარს ველოდი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ვმშვიდდებოდი და ჩემს ჯულუბრყვილობაზე მეცინებოდა. არადა, რატომ უნდა დაერეკა, ვინ მე და ვინ ის, რაღაც ორიოდე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს, ისიც ტელეფონით და ეს იყო სულ. მაგრამ მე მაინც მადლობელი ვიყავი იმ უცნობისა: მან ხომ ერთი ღამის ტკბილი ოცნებები მაჩუქა.

ერთი კვირა გავიდა. ის ამბავი კინაღამ დამავიწყდა, მაგრამ... კვლავ დილა. დილის გაზეთების გადათვალიერება დავამთავრე და ჩვენმა ტელეფონმა თავი შემახსენა.

წამოვხტი. მგონი გადავფრინდი მაგიდებს. რა იყო ეს, არ ვიცი, თითქოს რაღაც შორეულის და ჯერ კიდევ სულ დაუვიწყებელის გახსენება.

— ალო! — გაისმა ყურმილში. მაშინვე ვიცანი ის ხმა, რადგან ათას ხმაში გამოვარჩევდი. გულმა შეიფრთხიალა.

— მე ნაირა არა ვარ! — რატომღაც ასე ვუპასუხე, ანდა რამ მომაგონა ერთი კვირის წინათ გაგონილი სახელი.

— ნაირასთან არცა ვრეკავ, — მიპასუხა იმ ხმამ.

— აბა ვისთან, ქალიშვილო?

— თქვენთან!

— ჩემთან?

— დიახ, თქვენთან!

— შერედა, მე ვინა ვარ, ერთი ეს მითხარით, — ჩემისთანა ხეპრეს გარდა, ასე ვინმე გაესაუბრებოდა? ნამდვილი შტერი თუ გინდათ ვინმესთვის გეწოდებინათ, მაშინ სწორედ მე ვიყავი ასეთი.

— მინდა და გირეკავთ არ შეიძლება?

— როგორ არა... — აზრი დამებნა.

— რას აკეთებთ ახლა?

— ვმუშაობ, — გამოვიდე თავი.

— ოჰო, ასე ადრე? ალბათ ბევრი საქმე გაქვთ.

— ისე, რა!

— რა გქვიათ? — ეს შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ კინაღამ საკუთარი სახელი დამავიწყდა, — რას დუმხართ, ჰო, თქვენ...

— მე... მე გაიოზი მქვია, — და გავჩუმდი.

— გაიოზი კარგი სახელია, — შეაქო ჩემი ნათლია იმ ხმამ და იმ წუთს მომაგონდა, რომ მეც სამაგიეროდ უნდა მეკითხა მისი სახელი.

— თქვენ, თქვენ რა გქვიათ?

— აბა, გამოიცანით! — ის იყო ვაპირებდი რომელიღაც სახელის დასახელებას, რომ მივხვდი, ასე არ ივარგებდა. იქნებ იმას სულაც სხვა ერქვა და რატომ უნდა გამომეძულვანებინა სიმპათია ამა თუ იმ ქალის სახელის მიმართ, და თავი შევიკავე.

— მე არც ერთი სახელი არ მაგონდება ისეთი, რომ თქვენს ხმას შეეფარდო. მითხარით, რა გქვიათ?

— ო... რა დიპლომატი ყოფილხართ, — სიცილით ჩაიღაპარაკა მან, — კარგით, გეტყვით, მე თეონა მქვია.

— თეონა, რა მშვენიერი სახელია. ძალიანაც რომ მეფიქრა, ვერ მოვიგონებდი.

— მოგწონთ?

— ძალიან.

— კარგი, საკმარისია. შეგაწყინეთ...

— რას ამბობთ...

— სხვა დროს გავაგრძელოთ.

— არა, ახლაც გავაგრძელოთ...

— ახლა უკვე ვიგვიანებ.

— სად?

— ინსტიტუტში.

— ჰო, კარგი, არ დაიგვიანოთ. დარეკავთ კიდევ?

— თუ არ გამიწყრებით.

— გაგიწყრებით? — რომ იცოდეთ, — და მინდოდა იმ წუთშივე მისთვის მეთქვა, რომ მე ვარ უცოლო, მარტოხელა კაცი, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს, რომ თუ პასპორტს თან წამოიღებს, გავვარდები და ერთად შევალთ მმაჩის ბიუროში... სისულელეა?! მაგრამ თქვენ მისი ხმა არ გაგიგონიათ...

— კარგი, ვნახოთ, კარგად იყავით.

— კარგად, თეონა, ველი დარეკვას.

— მომავალ შეხვედრამდე ეთერში, უცნობო გაიოზ!

— ნახვამდის თეონა!

ყურმილი დადო.

შეყვარებული კაცის გამოცნობა ძალზე ადვილია. იგი თითქოს მიწაზე არ ადგამს ფეხს. სახე მუდამ გაბადრული აქვს, არც უფროსის გაბრაზებას იმჩნევს და სხვას ყოველთვის თავაზიანად ესაუბრება.

არც ჩვენს თანამშრომლებს გამორჩენიათ მხედველობიდან ჩემი ფერისცვალება, ყველა რაღაცის მოლოდინში იყო, ცდილობდნენ რამე დაეცდევინებინათ, მაგრამ მე პირში წყალი მქონდა ჩაგუბებული.

თეონა ყოველ დილით მირეკავდა. ისე გავშინაურდით, რომ უბრალოდ შეეძლო ითქვა კი დავიწყეთ ლაპარაკი. მან ჩემს შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა და მეც მგონი მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი.

ერთი თვე გავიდა და მისი თვალით მნახველი არ ვიყავი. რამდენჯერაც ყოთხვე შეხვედრა, ყოველთვის რაღაცას იმიზეზებდა და გადამიდებდა ხოლმე.

ერთი თვე გავიდა. ერთ დილას კი, როცა დარეკა და საუბარი გავაბით, უკვე შევბედე:

— თეონა, ღმერთი გწამს?

— ვთქვათ მწამს, რა იყო, გაიოზ? — „გაიოზი“ ასე ტკბილად თუ ეღერდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდი თეონამდე.

— რადა, რატომ მაწვალებ?

— რატომ გაწვალებ?

— შევხვდეთ, თეონა და ჩემს ტანჯვას მოუღე ბოლო.

— ძალიან გინდა?

— ნუთუ ოდნავ მაინც გეეჭვება?

— კარგი, შევხვდეთ! — უცებ დამთანხმდა თეონა. ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაშინ რომ გეკითხათ, მართლა მინდოდა თუ არა მისი შეხვედრა, ვერ გეტყოდით, მაგრამ სიტყვას უკან ხომ არ წავიღებდი?

გაგიკვირდებათ: მე, თითქოს თანამედროვე ქალმა, ვერ მოვახერხე მისი ნახვა მისდა გაუგებრად. მაგრამ ამა როგორ? მას არ უთქვამს თავისი მისამართი, არც ტელეფონის ნომერი, არც გვარი, ისიც კი არ მითხრა, რომელ ინსტიტუტში სწავლობდა. მას რომ არ დაერეკა, ვერასოდეს ვერ დავუკავშირდებოდი.

— სად?

— სადაც მეტყვი.

— არა, შენ აირჩიე...

მან აირჩია. მერე ჩვენ ვუთხარით ერთიმეორეს, თუ რა გვეცმეოდა და თან ის დავუმატე, ხელში გაზეთს დავიჭერ-მეთქი.

— თეონა, არ მომატყუო.

— რაკი გპირდებით, მოვალ კიდეც.

დავთქვით საათიც.

იმ დღით ყველა ჩვენი თანამშრომელი გავაოცე. უფროსს საათნახევრით ადრე დავეთხოვე. პირი გავიპარსე, მერე შინ შევირბინე და ჩემი ერთადერთი კოსტიუმი ჩავიცვი. თან გროშებიც არ დავივიწყე და გავწიე დანიშნული ადგილისაკენ. იმის შიშით, რომ გაზეთების ჯიხური ვაითუ დაკეტილი იყოს-მეთქი, გაზეთიც შინიდან წავიღე.

ბავშვთა სამყაროსთან რომ ტელეფონის ჯიხურია, ის იყო ჩვენი შეხვედრის ადგილი. ადრე მომივიდა მისკლა, ორჯერ ავუარე პუშკინის ქუჩას.

საათის ისრები დათქმულ დროს მიუახლოვდა. ყველა ლამაზ გამვლელს, რომელიც შარტო მოდიოდა, ვაკვირდებოდი, მსურდა ამომეცნო მათში თეონა. ვისაც უფრო მივიწნევდი ტელეფონში მოსმენილი ხმის პატრონად, ვუღიმოდი. ვუღიმოდი იმიტომ, რომ შეხვედრისას თეონასათვის მინდოდა მეთქვა — აი, ხომ გიცანი-მეთქი. ისინი კი, ვისაც ვუღიმოდი, ერთს შემომიბღვერდნენ და, ვინ იცის, რად არ მნათლავდნენ გულში — ხულიგნად. სალახანად, უტიფრად.

წუთი წუთს მისდევდა და...

ხალხის ტალღაში დავინახე ისე ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, როგორიც თეონას თქმით თვითონ უნდა ყოფილიყო. რაც უფრო ახლოვდებოდა, მით უფრო ვღელავდი. თეონა იყო, ნამდვილად ჩემი თეონა. ის კი არ მოდიოდა, მოგოგმანობდა, წერწეტა, მაღალი, შოლტივით მოქნილი, თვალწარბგადაკრული, შეუდარებელი. სწორედ მას უნდა ჰქონოდა ჩემი თეონას ხმა.

ჩემს მეერ შემჩნეული ქალიშვილი კვლავ მოდიოდა. ერთორჯერ ჩემკენ გამოიხედა და ტელეფონის ჯიხურისაკენ წამოვიდა. ფული მეცვალა. ჯიხურთან შეჩერდა. ხელჩანთა გახსნა და რაღაცას დაუწყო ძებნა. მე თვალი ვკარიდე. მერე იქვე მდგარ გაზეთების ჯიხურისაკენ გასწია, მგონი, ფული დაახურდავა. თვალს ვერ ვამორებდი.

ტელეფონის ჯიხურში შევიდა. რეკა რეკა და მგონი ორკაპიკიანი ტელეფონმა გადაუყლაპა. უკან გამოვიდა. ცოტა კიდევ იტრიალა და მე მომიბრუნდა. მე კი თვალი ვერ გავუსწორე.

— ბოდიში, ორკაპიკიანი ხომ არ გექნებათ?

ტანში დამცეცხლა, შემაჟრჟოლა.

ჩემს გვერდით თეონა იდგა. დავიბენი და ანგარიშმოუცემლად ვკითხე.

— რა ბრძანეთ, რა მითხარით?

— ორკაპიკიანი ხომ არ გექნებათ-მეთქი.

მშვენიერი დღე იდგა. მოედნის გარშემო ჩამწკრივებულ ბაღრებზე ხამოდ ცელურტულებდნენ ბეღურები. ადამიანები — ხმაგაბედრულნი, სახემოღუშულნი, ჭმაყოფილნი, უჭმაყოფილნი. ბავშვებში, სულელები მიდი-მოდიოდნენ ჩემს წინ. მე ყველაფრის შეგრძნება დავკარგე. მერე ჯიბეები მოვიქექე და ცოტა ხნის შემდეგ ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს, ვუთხარი.

— არა, არა მაქვს, ბოდიში!

— არა უშავს რა! — მომესმა თეონას ხმა. ყველაზე ძვირფასი ხმა, რაც კი ამ ერთი თვის განმავლობაში მესმოდა ტელეფონით. ხმა კი არა, თვითონ თეონა იდგა ჩემს გვერდით.

შევდრკი, დავმორცხვე. თავი ვაჟკაცი მეგონა და აი ახლა ჩემს საოცნებოსთან შეხვედრამ დამაბნია.

გაიოზმა პაპიროსი გააბოლა. მერე ჩვენ შემოგვხედა და გაიღიმა.

— არ იყო საინტერესო ხომ?

პასუხი არავის გაგვიცია. მასპინძელი წამოდგა. სუფრასთან მიგვიწვია. შემოვუსხედით, საუბრის დაწყებას ვერავინ ვახერხებდით.

უხმოდ შეივსო ჭიქები.

— სამსახურში დილით ადრე მისვლა კი მაინც ვერ მოვიშალე, — თითქოს შეწყვეტილი ამბის გაგრძელება უნდაო, დაიწყო გაიოზმა, — ყოველ დილით მას შემდეგ ერთსა და იმავე დროს რეკავს ტელეფონი. ყურმილს მაინც არ ვიღებ. არ ვიღებ, თუმცა კარგად ვიცი, რომ მასში ჩემი თეონას ხმა არის მომწყვდეული. მე კი ისე, ისე ძალიან მეხატრება იმ ხმის გაგონება, მას იქნებ მატყუარა, მხდალი ვგონივარ? როგორ გამოვასწორო შეცდომა. რა ვიცი, იქნებ აჯობოს, რომ ავიღო. ხომ შეიძლება, მეგობრებო შემოგთავაზოთ ერთი სადღეგრძელო? ხმას გაუმარჯოს ხმას, რომელიც გვიყვარს და სხვას არაფერს. ხმას, რომელიც... თეონას ხმის სადღეგრძელო მინდა დალიოთ, ჩემი თეონას ხმისა!

სასმისები ყველამ უხმოდ გამოსცალეთ...

სპორტული შემოდგომა



სპორტი



ქიდევ ცოტა და დამთავრდება ჩვენი ქვეყნის პირველობა ფეხბურთში. ოქროს შემოდგომა გვანიშნებს: დროა წიწილების დათვლას შევუდგეთო და ჩვენც ვთვლით თბილისის „დინამოს“ მიერ მოპოვებულ თუ დაკარგულ ქულებს. კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ დინამოელები, რომლებმაც წლეულს რამდენიმე მეტად დასანანი დამარცხება იგემეს, ფინიშთან მთელი ძალები დაძაბეს და ახლა, როდესაც მათ გასამართავი რჩებათ ოთხი თამაში (აქედან ერთი მოსკოვში, სამი კი შინ), საპრიზო ადგილის ერთერთი პრეტენდენტები არიან.

მართალია, დღეისათვის ქართველი ფეხბურთელები მეორე ადგილზე მყოფ (პირველი ადგილი და ოქროს მედლები კიევის „დინამომ“ მოიპოვა) ერევნის „არარატს“ სამი ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ თბილისელებს 26 მატჩი აქვთ გამართული, ერევნელებს კი — 27, ასე რომ, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების განაწილებაში დიდ როლს შეასრულებს თბილისელთა დღევანდელი შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“, ბრძოლას სიმძაფრეს ისიც მატებს, რომ მოსკოველებსაც არ სურთ უმედლებოდ დარჩენა და გამარჯვების შემთხვევაში ისინიც მეორე ადგილის ერთ-ერთი პრეტენდენტები იქნებიან.

შემოდგომის ამ თბილ დღეებში სპორტის კიდევ ერთ სახეობაში გამოვლინდნენ უძლიერესნი — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ცხენსაშენების მხედართა XIV საკავშირო შეჯიბრებამ, რომელიც თბილისში გაიმართა, დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი დედაქალაქის იპოდრომზე 10 დღეს ეჯიბრებოდა ერთმანეთს მოსკოვიდან, კიევიდან, ალმა-ათიდან, ფრუნზედან, ხარკოვიდან, ოდესიდან, პერმიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსული 500 მხედარი. საქართველოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ცხაკაიელი, ზუგდიდელი, ჩოხატაურელი, გალელი, ოჩამჩირელი, გულრიფშელი, სოხუმელი და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების და რაიონების საუკეთესო მხედრები.

აი როგორ განაწილდა პრიზები და ჯილდოები, რომელთა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ იყო დაწესებული:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სახელობის პრიზი 2400 მეტრ მანძილზე დოღში მოიგო რუსეთის გუნდის წარმომადგენელმა სიყაუევმა, რუსეთისავე გუნდის წევრმა მხედარმა ქალმა ვალეევამ დაისაკუთრა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზი.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახელობის პრიზი 2400 მეტრ მანძილზე მოიპოვა ყირგიზმა კოჟეუმყაროვმა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ზუგდიდელი ნანავა ამ მანძილზე მეორე იყო.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია დოღმა მთიდან დაშვებით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი ამ სახეობაში მოიპოვა დუშელმა მხედარმა ტარიელ არაბულმა.

შეჯამდა შედეგები ეროვნულ თამაშობებში. ქართველმა მხედრებმა იმარჯვეს „ისინდში“, ცხენბურთსა და „ნიზაკინეტკუმში“ (გაჭენებული ცხენით მხედრის მიერ შუბითა და ხელყუმბარით სამიზნეების დაზიანება).

ასპარეზობის დასასრულ გამარჯვებულთ საზეიმოდ გადაეცათ პრიზები და ჯილდოები.



სურათებზე: შეჯიბრება ცხენბურთსა და მტლით რბოლაში.

პარაჟიანი შემოდგომა ჰქონდა ახალგაზრდა ძალოსანს რუსლან თარქილს, ახლახან სოხუმში გამართულ რეკორდებს სალტოზე ვლადიმერ სალიბაშვილის აღზრდილმა სსრ კავშირის იუნიორთა რეკორდი დაამყარა აჭიმვაში (165 კგ), იუნიორთა მსოფლიო რეკორდი გაიმეორა ატაცში (150 კგ) და 185 კილოგრამის აკვრით 500 კილოგრამი დააგროვა. რუსლანი პირველი სპორტსმენია ამიერკავკასიაში, რომელმაც ქვემძიმე წონის ძალოსანთა შორის 500 კილოგრამი გვიჩვენა.


ამ საზეიმო დღეებში, როდესაც საქართველო თავისი კომკავშირის 50 წლისთავს აღნიშნავდა, სამტრედიის ახალგაზრდობამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო. ქალაქის ცენტრში გაიხსნა რაიონის საჭადრაკო კლუბი. საზეიმო ცერემონიალზე მრავალ სტუმარს შორის ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილიც იყო. მასპინძელთა თხოვნით მსოფლიოს ჩემპიონმა პირველმა შეაღო კლუბის კარი.

ქალზე საინტერესო ორთაბრძოლებია გაჩაღებული ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების სტადიონებზეც. საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში კვლავ ლიდერობს ლანჩხუთის „გურია“, რომელმაც მორიგ მატჩში ანგარიშით 6:0 დაამარცხა გეგეჭკორის „სალხინო“.

დღეისათვის ლანჩხუთელ ფეხბურთელებს 37 მატჩიდან მოგროვილი აქვთ 64 ქულა, 56 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება სამტრედიის „ლოკომოტივი“.

ახლახან დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის სპორტსმენთა პირველობა სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა აჭარის წარმომადგენელმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ტყეშელაშვილმა. მრგვალ სტენდზე სროლაში კი წარმატება ხვდა მახარაძელ სპორტის ოსტატს ლომინაძეს.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოცურავეთა ტურნირმა, რომელიც ქუთაისის „განთიადის“ საცურავ აუზში გაიმართა. გუნდური პირველი ადგილი დაისაკუთრა „განთიადმა“, მეორე ადგილზეა ქუთაისის განათლების განყოფილების მოცურავეები, მესამე ადგილზე კი „ლოკომოტივი“.



დაგმეძებენ, მუგელიან

ივანე (ჰაჰუ) მიხეილის ძე მეგუაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ქალაქ წულუკიძეში, ეძებენ დები — **ლია** და **მედიკო (ელენე) მებუკეები,** მცოვრებნი ქალაქ თბილისში, სუმბათაშვილ-იუჟინის ქუჩა № 16.

გიორგი ნიკოლოზის ძე ვერულეიშვილს,

დაბადებულს 1919 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერში, ეძებენ დები — **თამარ, შურა, თინა ვერულეიშვილები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, გოგებაშვილის ქუჩა № 8.

მამია კონსტანტინეს ძე გიორგაძეს,

დაბადებულს 1915 წელს ეძებს დედა — **ნინო გიორგაძე,** მცხოვრები ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 31.

შალვა, დავით, გედევან დანიელის ძე ლაჰუეიანებს,

დაბადებულთ 1913, 1916, 1922 წლებში ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში, ეძებენ დები — **ქეთევან, აგრაფინა, თამარ ლაჰუეიანები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, 29-ე კორპუსი, 21-ე ბინა.

ნიკოლოზ ანდრის ძე ნადარეიშვილს,

დაბადებულს აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში, ეძებენ დედა — **ვერა,** მამა — **ანდრი ნადარეიშვილები,** მცხოვრებნი სოფელ ონტოფოში.

გენია რამინის ძე მურვანიძეს,

დაბადებულს 1921 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში, ეძებს დედა — **ნინო მურვანიძე,** მცხოვრები სოფელ ჯურუყვეთში.

ივანე ბედიას ძე სარიშვილს,

დაბადებულს 1915 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩორხათში, ეძებს და — **ქეთევან სარიშვილ-მურვანიძე,** მცხოვრები ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში.

შალვა სამსონის ძე ჩიკაშუას,

დაბადებულს 1922 წელს ლანჩხუთში, ეძებენ დედა — **ანეტა,** ძმები — **რეზო, ვახტანგ,** დები — **ნათელა, მაყვალა, შურა,** რძლები — **თინა, გულიკო,** ჩიკაშუები, მცხოვრებნი ლანჩხუთში, ფრუნზეს ქუჩა № 6.

ალექსი იაგორის ძე მოსიას,

დაბადებულს 1913 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათში, ეძებენ მეუღლე — **ვერა,** შვილი — **ალვერა მოსიები,** მცხოვრებნი ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთში.

ვარლამ დავითის ძე დავითულიანს,

დაბადებულს 1921 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ბარეულში, ეძებენ დედა — **თეო,** მეუღლე — **ზინა,** შვილი — **დილავარდისა,** დები — **ანიკო, ოლია დავითულიანები,** მცხოვრებნი ქალაქ მახარაძეში, სტახანოვის ქუჩა № 11.

ძმებს ვანო და ლექსო გიორგის ძე ექიზაშვილებს,

დაბადებულთ 1919 და 1922 წლებში დმანისის რაიონის სოფელ გომარეთში, ეძებენ ძმები — **დიმიტრი** და **ალექსანდრე ექიზაშვილები,** მცხოვრებნი ქალაქ თბილისში მირზაანის ქუჩა № 54.

ლონგინოზ ლონგინოზის ძე გიორგელაშვილს,

დაბადებულს 1919 წელს ქალაქ თელავში, ეძებს დედა — **ნატალია თვალოჭროშვილი-გიორგელაშვილისა,** მცხოვრები ქალაქ თელავში მელიქიშვილის ქუჩა № 39.

რედაქტორის მაგიერ
ვასილ მჭედლიშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.